ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1968 წ.

10.283

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

35. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 თებერვლის № 107 დადგენილების იმ ნაწილის შესრულების თაობაზე, რომელიც ციტრუსოვანი კულტურების განვითარებას შეეხება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

36. ქარელის რაიონის სოფელ ფცის საშუალო სკოლისათვის ქართველი მწერლის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახელის მიკუთვნების შესახებ.
37. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები
38. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების მოქმედების გავრცელების შესახებ.
39. თბილისში ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმის მშენებლობის და კეთილმოწყობის სამუშაოთა ღონისძიებათა შესახებ.
40. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
41. რძისა და ნაღების შესასყიდი ფასების გადიდების შესახებ.
42. ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების სანიტარული დასუფთავების საკითხები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი—ივნისი 1968 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

35. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 თებერვლის № 107 დადგენილების იმ ნაწილის შესრულების თაობაზე, რომელიც ციტრუსოვანი კულტურების განვითარებას შეეხება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

36. ქარელის რაიონის სოფელ ფცის საშუალო სკოლისათვის ქართველი მწერლის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახელის მიკუთვნების შესახებ.
37. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები
38. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების მოქმედების გავრცელების შესახებ.
39. თბილისში ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმის მშენებლობის და კეთილმოწყობის სამუშაოთა ღონისძიებათა შესახებ.
40. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
41. რძისა და ნაღების შესასყიდი ფასების გადიდების შესახებ.
42. ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების სანიტარული დასუფთავების საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

43. საქართველოს სს რესპუბლიკაში წყალზე ადამიანთა სიცოცხლის დაცვის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ.
44. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს დებულებაში დამატების შეტანის შესახებ.
45. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 ივნისის № 425 დადგენილების დამატებისა და ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
46. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ტარის განმეორებით გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებებისა და ეკონომიური სახეობის ტარის წარმოების გადიდების შესახებ.
47. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

35 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 თებერვლის № 107 დადგენილების იმ ნაწილის შესრულების თაობაზე, რომელიც ციტრუსოვანი კულტურების განვითარებას შეეხება

(ამონაკრები)

ციტრუსოვანთა ნარგავების შემდგომი გაფართოების, არსებული ბაღების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, საქართველოს კპ მახარაძის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ხობის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ვანის, თერჯოლის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, წყალტუბოს, ჩხოროწყუს რაიკომებს და ფოთის საქალაქო კომიტეტს მიიღონ ყველა საჭირო ზომა ციტრუსოვანთა ბაღების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი შემდგომი გაფართოებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ლიმონის კულტურის განვითარებას, მკვეთრად გაადიდონ მისი გასაშენებელი ფართობები.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტებმა, სუბტროპიკული რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებმა:

ა) განახორციელონ ღონისძიებანი ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების გაშენების გეგმების განუხრელად შესრულებისათვის;

ე) ლიმონის, ფორთოხლისა და გრეიფრუტის გაშენების დაწესებული გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად გადასინჯონ მანდარინისათვის გამოყოფილი მიწები და მათგან უკეთესი მიწები — თბილი, უფრო დაცული — გამოყონ ამ კულტურების გასაშენებლად; თბილ მიკროუბნებზე არსებული გამეჩხერებული მანდარინის ნარგავები შეავსონ „ქართული“, ფილა ფრანკოს ჯიშის ლიმონით და ვაშინგტონ-ნაველის ჯიშის ფორთოხლით;

ვ) იმისათვის, რომ ჩატარდეს გამეჩხერებული ნარგავების რემონტი და აღდგენილ იქნას ამოვარდნილი ხეები 3 და 4-წლიანი ნერგით, არსებულ ციტრუსოვანთა ბაღებში ყველაზე დაცულ ნაკვეთებზე გააშენონ ცალკეულ კვლებად სარეზერვო სანერგეები;

აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს რაიმე სხვა მრავალწლიანი კულტურების გაშენება ციტრუსოვანი კულტურებისათვის გამოსადეგ ფართობებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტმა, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა, მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის სუბტროპიკული კულტურების საცდელმა სადგურმა გაითვალისწინონ თემატური გეგმით, 1968 წლიდან დაწესებული, ყინვაგამძლე, მალსეკოს გამძლე და საადრეო ციტრუსოვანთა ჯიშების გამოყვანისა და გამოვლინების სამუშაოთა მკვეთრად გაძლიერება, მეურნეობრივად ძვირფასი ჯიშების ინტროდუქციის გაფართოება და შეიმუშაონ ყინვისა და მალსეკოს დაავადებისაგან ციტრუსების დაცვის ღონისძიებანი.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ მუშაობას, რასაც გენეტიკისა და სელექციის კათედრა ეწევა ახალი ფორმის ციტრუსოვანი კულტურების გამოსაყვანად.

6. რჩევა მიეცეთ ციტრუსოვანთა კოლმეურნეობების გამგეობებს იყოლიონ ყოველ 20 და მეტ ჰექტარ ციტრუსების ბაღზე თითო მეციტრუსე აგრონომი.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტმა მოაწყონ ინსტიტუტთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეციტრუსე აგრონომების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ციტრუსოვანთა კულტურების, განსაკუთრებით ლიმონის, განვითარება მიაჩნიათ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად და მოითხოვენ პარტიის საოლქო კომიტეტებისაგან და რაიკომებისაგან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებისაგან, სუბტროპიკული რაიონების რაიაღმასკომებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებისაგან დარაზმონ კოლმეურნეები და მეციტრუსეობის მეურნეობათა მუშები მეციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის, უზრუნველყონ, რომ ყველა მეურნეობა განუხრელად ასრულებდეს ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოებისა და მიყიდვის სახელმწიფო გეგმებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 7 მაისი, № 235.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

36 ქარელის რაიონის სოფელ ფცის საშუალო სკოლისათვის ქართველი მწერლის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს მწერალთა კავშირის შუამდგომლობა და ქარელის რაიონის სოფელ ფცის საშუალო სკოლას მიენიჭოს ქართველი მწერლის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 6 მაისი, № 214.

37 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი) შესახებ, დანართის თანახმად.

დაწესდეს, რომ მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის ფუნქციების დაკისრება საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტისათვის არა ხსნის სამინისტროების, უწყებების და მათი ქვესაუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს იმის პასუხისმგებლობას, რომ უზრუნველყოფილ იქნას ოპერატიული კონტროლი და ამ დარგში დადგენილი წესების დაცვა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტს სამი თვის ვადაში განიხილოს, საქართველოს სსრ რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, და დაამტკიცოს ამ სამინისტროებისა და უწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების იმ საწარმოების, წარმოების, ობიექტებისა და ორგანიზაციების სია, რომლებსაც კონტროლი უნდა გაუწიონ საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის ორგანოებმა.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ქვესაკონტროლო ორგანიზაციების, კომბინატების, ტრესტებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ რესპუბლიკის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ადგილობრივი ორგანოები სამსახურებრივი სადგომებით, ხოლო ამ ორგანოების მუშაკები— საცხოვრებელი ფართობით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს განიხილოს საკითხი, რომ უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მისი მუშაკები დროზე გაემგზავრონ ქვესაკონტროლო საწარმოებში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში მათ გამოსაკვლევად ან ავარიებისა და უბედური შემთხვევების მიზეზების გამოსაძიებლად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას და საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წლის 15 მაისი, № 237.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 15 მაისის № 237
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი (საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი) წარმოადგენს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი სახელმწიფო ზედამხედველობას გაუწევს სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების წესების დაცვას ქვანახშირის, სამთამადნო, სამთოქიმიურ, არამადნეულ, ნავთობ და გაზმომპოვებელ, ნავთობ და გაზგადამმუშავებელ, ქიმიურ და მეტალურგიულ მრეწველობაში, გეოლოგიურ-სადაზვერვო ექსპედიციებსა და პარტიებში, წნევის ქვეშ მომუშავე ამწენაგებობების, საქვაბე დანადგარებისა და ჭურჭლების, ორთქლისა და ცხელი წყლის მილგაყვანილობათა, გაზის მოპოვებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ობიექტების მოწყობისა და ექსპლუატაციის დროს, მრეწველობაში აფეთქების სამუშაოთა წარმოების დროს, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების სწორ ექსპლუატაციას და მიწის წიაღის დაცვას.

საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტს ეკისრება იმის პასუხისმგებლობა, რომ დროულად და სწორად განახორციელოს სახელმწიფო ზედამხედველობის მისთვის დაკისრებული ფუნქციები მრეწველობის აღნიშნულ დარგებში და ქვესაკონტროლო საწარმოებში, წარმოებებში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში.

2. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის მთავარი ამოცანაა:

კონტროლი გაუწიოს სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების დაწესებული მოთხოვნების შესრულებას და ავარიების, საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელებას ქვესაკონტროლო საწარმოებში, წარმოებებში, ობიექტებზე და ქვესაკონტროლო ორგანიზაციებში;

კონტროლი გაუწიოს სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციის სისწორეს და მიწის წიაღის დაცვას.

სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოები მთელი თავიანთი საქმიანობით ხელს უნდა უწყობდნენ ავარიებისა და საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებას ქვესაკონტროლო საწარმოებში, წარმოებებში, ობიექტებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ორგანიზაციებში, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულთა დანაკარგის თავიდან აცილებას საბადოების დამუშავების დროს.

3. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი და მისი ქვეშაუწყებო ორგანიზაციები შედიან სსრ კავშირის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ერთიან სისტემაში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტს. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის დებულებას, მის სტრუქტურასა და ცენტრალური აპარატის მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტთან შეთანხმებით.

5. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი მასზე დაკისრებულ სახელმწიფო ზედამხედველობას რესპუბლიკაში განახორციელებს რაიონული სამთოტექნიკური ინსპექციების, აგრეთვე მის მიერ შექმნილი საქალაქო და დარგობრივი (საოლქოს უფლებებით) ინსპექციების მეშვეობით.

6. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ბრძანებებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის სისტემის ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი განაზოგადებს სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების, მიწის წიაღის ექსპლუატაციისა და დაცვის დარგში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და განსახილველად წარუდგენს სსრ კავშირის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტს.

7. სამთომომპოვებელ მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი და იმ სამუშაოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის დარგში, რომლებსაც გეოლოგიურ-სადაზვერვო ექსპედიციები და პარტიები ახორციელებენ, აგრეთვე სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის დარგში საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი:

ა) კონტროლს გაუწევს უსაფრთხობის ტექნიკის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების შესრულებას ქვანახშირის, სამთამადნო, სამთო-ქიმიური, არამადნეული, ნავთობ და გაზმომპოვებელი, ნავთობ და გაზგადამმუშავებელი, ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის მოქმედ, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოებში, სამთო და აფეთქების სამუშაოებზე გვირაბებისა და სხვა ენერგეტიკული ნაგებობების მშენებლობის დროს, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებსაც ახორციელებს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრო, სამთო, ბურღვისა და გეოფიზიკურ სამუშაოებზე, გეოლოგიურ-სადაზვერვო ექსპედიციებსა და პარტიებში, აგრეთვე კონტროლს გაუწევს სამთომომპოვებელი მრეწველობის საწარმოებში ქვანახშირის, მადნისა და ქანის მტვრის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს;

ბ) კონტროლს გაუწევს გაზის ან მტვრის მხრივ საშიშ შახტებში (მაღაროებში) დაწესებული მტვერგაზის რეჟიმის დაცვას, მტვერსავენტილაციო სამსახურის მდგომარეობას, აფეთქების სამუშაოთა მოწყობას და გატარებას, აგრეთვე გაზისა და მტვრის აფეთქების თავიდან აცილების სხვა ღონისძიებათა განხორციელებას;

გ) კონტროლს გაუწევს მიწის წიაღის დაცვის წესებისა და ინსტრუქციების შესრულებას სამთომომპოვებელი მრეწველობის მოქმედ, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოებში, მათ შორის საქართველოს სსრ კონტინენტური შელფის ფარგლებში, აგრეთვე მიწის წიაღის სწორ ექსპლუატაციას დაზვერილი მარაგის სრულად ამოღებისა და სასარგებლო წიაღისეულთა კომპლექსური ამოკრეფის მხრივ მათი მოპოვების დროს, სამთო სამუშაოთა განვითარების დამტკიცებული პროექტებისა და გეგმების შესაბამისად;

დ) კონტროლს გაუწევს სამთო სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების საზღვრების დროულად და სწორად დადგენას;

ე) კონტროლს გაუწევს იმას, რომ სწორად შესრულდეს სამთომომპოვებელი მრეწველობის მოქმედ, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოებში მიწის წიაღის დაცვის ყველა სახეობის სამუშაოები, რომლებსაც ასრულებენ შახტის, მაღაროსა და სარეწის გეოლოგიური დარგები;

ვ) კონტროლს გაუწევს ყველა სახის მარკშეიდერულ სამუშაოთა ჩატარებას სამთომომპოვებელი მრეწველობის მოქმედ, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოებში, სამთო და ბურღვის სამუშაოებზე, გეოლოგიურ-სადაზვერვო ექსპედიციებსა და პარტიებში, დადგენილი წესების, ინსტრუქციებისა და დებულებების შესაბამისად, აგრეთვე კონტროლს გაუწევს მარაგის გეოლოგიურ-მარკშეიდერულ აღრიცხვას, სასარგებლო წიაღისეულთა დანაკარგსა და გაღარიბებას საბადოების დამუშავების დროს, იმას, რომ დადგენილი წესით იქნას ჩამოწერილი აღნიშნული საწარმოების ბალანსიდან სასარგებლო წიაღისეულთა დაუდასტურებელი არაკონდიციური და დაკარგული მარაგი;

ზ) გამოარკვევს, სამთომომპოვებელი მრეწველობის საწარმოებთან ერთად, შახტების (მაღაროების) კატეგორიას გაზის მიხედვით ან მიაკუთვნებს მას მტვრის მხრივ საშიშ კატეგორიას, გადაიყვანს შახტებს (მაღაროებს) გაზის მხრივ ერთი კატეგორიიდან მეორეში;

თ) კონტროლს გაუწევს სამთომომპოვებელი მრეწველობის საწარმოების ლიკვიდაციისა და კონსერვაციის სისწორეს სამუშაოთა უსაშიშროებისა და მიწის წიაღის დაცვის ნაწილში;

ი) კონტროლს გაუწევს ისეთ ღონისძიებათა დროულად და სწორად განხორციელებას, რომელთა მიზანია მიწის ზედაპირის და მასზე განლაგებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობების, ნაგებობების, წყალსატევებისა და ნარგავების, აგრეთვე მოსახლეობა
მა კაპიტალურ სამთო გამომუშავებათა და ნაგებობათა დაცვა სამთო სამუშაოების მავნე გავლენისაგან;

კ) გასცემს, გეოლოგიური სამსახურის ორგანოების დასკვნების გათვალისწინებით, სამთო მინაკუთვნების სასარგებლო წიაღისეულთა საბადოებს დასამუშავებლად (გარდა საერთოდგავრცელებული სასარგებლო წიაღისეულებისა) და მოახდენს სამთო მინაკუთვნების რეგისტრაციას საერთოდგავრცელებულ სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების დასამუშავებლად;

ლ) გასცემს დადგენილი წესით ნებართვებს, რომ აშენდეს სასარგებლო წიაღისეულთა (გარდა საერთოდგავრცელებულ სასარგებლო წიაღისეულთა) განლაგების ფართობებზე საწარმოები, დასახლებული პუნქტები, შენობები, ნაგებობანი, წყალსატევები და სხვა ობიექტები, გეოლოგიური სამსახურის ორგანოების დასკვნების გათვალისწინებით, კონტროლს გაუწევს ამ წესის დაცვას და იმ სპეციალურ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც გათვალისწინებულია მშენებლობის სამთო-გეოლოგიური დასაბუთებით;

მ) კონტროლს გაუწევს იმას, რომ ნავთობისა და გაზის ძიების მწარმოებელმა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა შეასრულონ დადგენილი წესი სადაზვერვო ბურღვის დაწყებისა და დამთავრებისა ახალ ფართობებზე და ნავთობისა და გაზის საბადოების გაცემისა სამრეწველო დამუშავებისათვის;

ნ) კონტროლს გაუწევს ჭაბურღილების გაყვანის განხორციელებას, ნავთობისა და გაზის სადაზვერვო ჭაბურღილების საცდელ ექსპლუატაციას, ნავთობისა და გაზის საბადოების ექსპლუატაციის დაწესებული რეჟიმების დაცვას, ამ საბადოებში ჭაბურღილების კონსერვაციისა და ლიკვიდაციის სისწორეს;

ო) კონტროლს გაუწევს ჰიდრომინერალური რესურსების ექსპლუატაციის სისწორეს და მათ დაცვას გაფუჭებისა და ნაადრევი გამოფიტვისაგან;

პ) შეამოწმებს — მოეპოვებათ თუ არა ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს შესაბამისი საბუთები, რომლებიც უფლებას ანიჭებენ მათ უხელმძღვანელონ სამთო, ბურღვის, აფეთქებისა და სამარკშეიდერო სამუშაოებს.

ამ პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოები განახორციელებენ ზედამხედველობას სსრ კავშირის და საქართველოს სსრ და ადგილობრივი დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში, გარდა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საწარმოებისა, ობიექტებისა და ორგანიზაციებისა, აგრეთვე წელიწადში 50 ათას კუბურ მეტრამდე მთის მასის სიმძლავრის საერთოდგავრცელებულ სასარგებლო წიაღისეულთა მოსაპოვებელი კარიერებისა, რომლებზედაც წარმოებს აფეთქების სამუშაოები. ამ პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებს გადაწყვეტენ საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოები, დამოუკიდებლად საწარმოების, ობიექტების და ორგანიზაციების უწყებრივი კუთვნილებისა.

8. ქიმიურ და ნავთობქიმიურ წარმოებაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის დარგში საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი კონტროლს გაუწევს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) უსაფრთხობის ტექნიკის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვას;

ბ) წარმოების პროცესის ტექნოლოგიური რეგლამენტებითა და ინსტრუქციებით გათვალისწინებული პარამეტრების დაცვას, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უსაშიშრო წარმოებას;

გ) ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის იმ ღონისძიებათა შესრულებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს უსაშიშრო წარმოებას, აგრეთვე ტექნოლოგიური მოწყობილობის გეგმიან-გამაფრთხილებელი და კაპიტალური რემონტის გრაფიკების დაცვას;

დ) ხანძრის მხრივ საშიში და ტოქსიკური გაზებისათვის, გათხევადებული გაზების ჩათვლით, ტექნოლოგიურ მილგაყვანილობათა მოწყობისა და მათი უსაშიშრო ექსპლუატაციის წესების დაცვას;

ე) აფეთქებისა და ხანძრის მხრივ საშიშ ამა თუ იმ კატეგორიაზე წარმოების მიკუთვნებისა და ერთი კატეგორიიდან მეორეში წარმოებათა გადაყვანის სისწორეს;

ვ) მოიპოვება თუ არა და რა მდგომარეობაშია ავარიების თავიდან აცილებისა და ლოკალიზაციის საშუალებანი, აგრეთვე ავარიის საწინააღმდეგო დაცვის სხვა საშუალებანი;

ზ) მოიპოვება თუ არა მეხისაგან დაცვის და მოწყობილობის, რეზერვუარებისა და მილგაყვანილობების სტატიკური ელექტრობისაგან დაცვის საშუალებანი;

თ) მოიპოვება თუ არა გაზისაგან დაცვის და საწარმოო სადგომებში ჰაერის ანალიზების ჩატარების საშუალებანი;

ამ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოები განახორციელებენ ზედამხედველობას სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს სისტემის ნავთობქიმიურ წარმოებებში, მოქმედ საწარმოებში და საწარმოთა საცდელ-სამრეწველო საამქროებში, რომლებიც მდებარეობენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე აფეთქებისა და ხანძრის მხრივ საშიშ ქიმიურ წარმოებებში, მათი უწყებრივი კუთვნილების დამოუკიდებლად.

9. ქვაბზედამხედველობის ობიექტების და ამწენაგებობათა მოწყობისა და ექსპლუატაციის დროს სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის დარგში საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი:

ა) კონტროლს გაუწევს საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებული სიის მიხედვით 0,7 ატმ. მეტი წნევის ქვეშ მომუშავე ორთქლის ქვაბებისა და ჭურჭლების წყლის ц115°-ზე მეტი თბობის ტემპერატურის წყალსათბობი ქვაბების, ორთქლისა და ცხელი წყლის მილგაყვანილობათა, ტვირთამწეების, ლიფტების (გარდა მცირე სატვირთო ლიფტებისა), ესკალატორების, ფუნიკულიორების და კიდული სამგზავრო საბაგირო გზების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესების დაცვას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მისცემს საწარმოებსა და ორგანიზაციებს ქვაბზედამხედველობის ობიექტებისა და ამწე ნაგებობათა დამზადების ნებართვებს, აგრეთვე პერიოდულად გაუწევს კონტროლს ამ ობიექტებისა და ნაგებობების დამზადებას;

გ) რეგისტრაციაში გაატარებს ქვაბზედამხედველობის ობიექტებს და ამწე ნაგებობებს და გასცემს ნებართვებს მათი ექსპლუატაციის შესახებ;

დ) ჩაატარებს ქვაბზედამხედველობის ობიექტებისა და ამწე ნაგებობათა ტექნიკურ შემოწმებას;

ე) კონტროლს გაუწევს იმას, რომ დამამზადებელმა საწარმოებმა და სამონტაჟო ორგანიზაციებმა გამოასწორონ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც აღმოჩენილია ქვაბზედამხედველობის ობიექტების და ამწე ნაგებობათა კონსტრუქციაში, აგრეთვე მათი დამზადებისა და მონტაჟის დეფექტები;

ვ) კონტროლს გაუწევს ქვაბზედამხედველობის ობიექტებისა და ამწე ნაგებობათა გეგმიან-გამაფრთხილებელი და კაპიტალური რემონტის იმ ვადების დაცვას, რომლებიც დაწესებულია ტექნიკური ნორმებით.

ამ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოები განახორციელებენ ზედამხედველობას სსრ კავშირის და საქართველოს სსრ და ადგილობრივი დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში, გარდა იმ სამინისტროებისა და უწყებების ქვესაუწყებო საწარმოებისა, ობიექტებისა და ორგანიზაციებისა, რომელთაც თავიანთ შემადგენლობაში ჰყავთ ქვაბზედამხედველობის ინსპექციები, და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის ქვესაკონტროლო ობიექტებისა.

10. ისეთი ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის დარგში, რომლებიც დაკავშირებულია გაზის მოპოვებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან და გამოყენებასთან, საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი:

ა) კონტროლს გაუწევს უსაფრთხობის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვას გაზის მრეწველობის საწარმოებში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში, როდესაც მიმდინარეობს გაზშემკრები და გაზგანმანაწილებელი ქსელის მშენებლობა და ექსპლუატაცია გაზმომპოვებელი მრეწველობის სარეწებში, სარეწაო გაზშემკრებ პუნქტებსა და გაზკომპრესორულ სადგურებში, აგრეთვე როდესაც მიმდინარეობს მშენებლობა და ექსპლუატაცია შეკუმშული (ბუნებრივი) და გათხევადებული (პროპან-ბუტანი) გაზის გაზსავსები სადგურებისა, ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტების განმანაწილებელი გაზსადენებისა, სამრეწველო, კომუნალური და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების, ობიექტებისა და ორგანიზაციების საგაზო მოწყობილობისა და საგაზო ქსელისა, რომლებიც იღებენ გაზს მაგისტრალური და საქალაქო გაზსადენებისაგან და გათხევადებულ გაზს (პროპან-ბუტანს), იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ საყოფაცხოვრებო საგაზო დანადგარებს, აგრეთვე საგაზო დანადგარებს საცხოვრებელ სახლებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) კონტროლს გაუწევს უსაფრთხობის წესების დაცვას მიწისქვეშა გაზგამტარ ქსელისა და მათზე მდებარე ნაგებობების, იმ გაზიფიცირებული საწარმოო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და გათხევადებული გაზის ჯგუფური დანადგარების მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს, რომლებიც სოფელ ადგილებში მდებარეობენ;

გ) მისცემს არასპეციალიზებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს იმის ნებართვებს, რომ აწარმოონ მიწისქვეშა გაზსადენებისა და საგაზო ნაგებობათა მშენებლობის სამუშაოები;

დ) მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობას, რომლებიც ეწევიან საყოფაცხოვრებო საგაზო დანადგარების ექსპლუატაციას საცხოვრებელ სახლებში, ამ დანადგარების ტექნიკურ მდგომარეობასა და მათი უსაშიშრო ექსპლუატაციის უზრუნველყოფას;

ე) კონტროლს გაუწევს იმას, რომ საწარმოებმა და სამონტაჟო ორგანიზაციებმა განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საგაზო ზედამხედველობის ობიექტების დამზადებისა და მონტაჟის გამოვლინებული დეფექტების აღმოფხვრას.

ამ პუნქტის შესაბამისად, სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოები განახორციელებენ ზედამხედველობას სსრ კავშირის და საქართველოს სსრ და ადგილობრივი დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში, გარდა სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს მიერ ექსპლუატირებული მაგისტრალური გაზსადენებისა და მათზე მდებარე ნაგებობებისა, გაზშემკრები და გაზგანმანაწილებელი ქსელისა გაზის სარეწებში, სარეწაო გაზშემკრები პუნქტებისა, სათავო ნაგებობებისა და გამაძლიერებელი კომპრესორული სადგურებისა, აგრეთვე გათხევადებული (პროპან-ბუტანი) გაზების გაზსავსები სადგურებისა, რომელთა ზედამხედველობას ახორციელებს სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს სახელმწიფო საგაზო ინსპექცია.

11. მეტალურგიულ წარმოებაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის დარგში საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი კონტროლს გაუწევს:

ა) უსაფრთხობის ტექნიკის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვას;

ბ) ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის იმ ღონისძიებათა შესრულებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პროცესების უსაშიშრო წარმოებას;

გ) მეხისაგან დაცვის და მოწყობილობისა და ნაგებობების სტატიკური ელექტრობისაგან დაცვის საშუალებათა არსებობას;

დ) იმას, — არსებობს თუ არა და რა მდგომარეობაშია ავარიების ავტომატურად აცილებისა და ლოკალიზაციის საშუალებანი, აგრეთვე ავარიის საწინააღმდეგო დაცვის სხვა საშუალებანი;

ე) ტექნოლოგიური მოწყობილობის გეგმიან-გამაფრთხილებელი და კაპიტალური რემონტის გრაფიკების დაცვას;

ვ) გაზისაგან დაცვის საშუალებათა არსებობას და საწარმოო სადგომებში ჰაერის ანალიზების ჩატარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოები განახორციელებენ ზედამხედველობას სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს სისტემის საწარმოთა მეტალურგიულ წარმოებაში, რომელიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს.

12. ნავთობგადამმუშავებელ და გაზგადამმუშავებელ წარმოებაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის დარგში საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი კონტროლს გაუწევს:

ა) უსაფრთხობის ტექნიკის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვას;

ბ) დაწესებული პარამეტრების დაცვას, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური პროცესების უსაშიშრო წარმოებას;

გ) ტექნოლოგიური დანადგარების გეგმიან-გამაფრთხილებელი და კაპიტალური რემონტის გრაფიკების დაცვას;

დ) მეხისაგან დაცვის და მოწყობილობის, რეზერვუარებისა და მილგაყვანილობების სტატიკური ელექტრობისაგან დაცვის საშუალებათა არსებობას;

ე) გაზისაგან დაცვის საშუალებათა არსებობას და საწარმოო სადგომებში ჰაერის ანალიზების ჩატარებას.

ამ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოები განახორციელებენ ზედამხედველობას სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების ნავთობგადამმუშავებელ და გაზგადამმუშავებელ წარმოებაში.

13. აფეთქების სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის დარგში საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი:

ა) კონტროლს გაუწევს აფეთქების სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვას;

ბ) კონტროლს გაუწევს აფეთქების სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების საზღვრების დადგენას;

გ) მეთვალყურეობას გაუწევს ფეთქებად ნივთიერებათა და აფეთქების საშუალებათა აღრიცხვის, შენახვისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების წესების დაცვას;

დ) საჭიროების შემთხვევაში შეამოწმებს ფეთქებადი მასალების საწყობების მშენებლობის პროექტებს და მასობრივი აფეთქების ჩატარების პროექტებს;

ე) მონაწილეობას მიიღებს ფეთქებადი მასალების საწყობების (გარდა ხანმოკლეებისა) საექსპლუატაციოდ მიმღებ კომისიებში;

ვ) შეამოწმებს, მოეპოვებათ თუ არა ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს სათანადო საბუთები, რომლებიც უფლებას ანიჭებენ მათ უხელმძღვანელონ აფეთქების სამუშაოებს.

ამ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოები განახორციელებენ ზედამხედველობას სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში, გარდა იმ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებისა, ობიექტებისა და ორგანიზაციებისა, რომელთაც თავის შემადგენლობაში ჰყავთ შესაბამისი ინსპექციები.

14. ახორციელებს რა სახელმწიფო ზედამხედველობას მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი და სახელმწიფო სამთოზედამხედველობას, საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი:

ა) კონტროლს გაუწევს, სამრეწველო გამოცდების სტადიიდან დაწყებული, იმას, თუ რამდენად შეესაბამებიან უსაფრთხობის ტექნიკის წესებსა და ნორმებს მრეწველობის ქვესაკონტროლო დარგებისათვის შეძენილი მოწყობილობა და მექანიზმები, რომლებსაც გადიდებულ მოთხოვნებს უყენებენ უსაფრთხობის ტექნიკის დარგში;

ბ) კონტროლს გაუწევს სამუშაოთა გეგმების შესრულებას უსაფრთხობის ტექნიკის დარგში და იმ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის უსაშიშრო პირობებს ქვესაკონტროლო საწარმოებში, წარმოებაში, ობიექტებზე და ქვესაკონტროლო ორგანიზაციებში;

გ) განაზოგადებს უსაფრთხობის ტექნიკის მდგომარეობის, საწარმოო ტრავმატიზმის მიზეზების და მიწის წიაღის დაცვის შესახებ არსებულ მასალებსა და მონაცემებს, რომლებსაც სავალდებულო წესით უდგენენ საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის ინსპექციას სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით, შეიმუშავებს სათანადო წინადადებებს, აგრეთვე კონტროლს გაუწევს იმას, თუ რამდენად სწორად აწარმოებენ საწარმოები და ორგანიზაციები წარმოებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების აღრიცხვას;

დ) მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ქვესაკონტროლო საწარმოების, წარმოებისა და ობიექტების საექსპლუატაციოდ მიმღებ სახელმწიფო კომისიებში;

ე) კონტროლს გაუწევს იმას, თუ რამდენად დროულად და ხარისხიანად ტარდება სამინისტროებისა და უწყებების სისტემებში ქვესაკონტროლო საწარმოების, წარმოებების, ობიექტების და ორგანიზაციების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მიერ უსაფრთხობის ტექნიკის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების შესწავლის შემოწმება, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში — იმ საპროექტო-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციებისა, რომლებიც ეწევიან პროექტების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და ტექნოლოგიური რეგლამენტების შემუშავებას აღნიშნული საწარმოების, წარმოების, ობიექტებისა და ორგანიზაციებისათვის.

15. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი:

ა) მოამზადებს დასკვნებს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისა და მიწის წიაღის დაცვის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების პროექტების, ახალი სახის ფეთქებად ნივთიერებათა და აფეთქების საშუალებათა გამოსაყენებლად დაშვების შესახებ საჟურნალო დადგენილებათა პროექტების გამო, დასკვნებს იმ შუამდგომლობათა გამო, რომლებიც შეეხება [illegible] ნებართვე-

ბის გაცემას, რომ გამოიყენონ ახალი ნიმუშის ელექტრომექანიკური მანქანა-ლობა, ამოსაღები მანქანები (საერთო უშიშროებისა და მტვერშექმნის ნაწილში) და საკონტროლო-საზომი აპარატურა მაღაროში აფეთქების მხრივ უშიშარი შესრულებით, რომლებიც განკუთვნილია მიწისქვეშა სამთო სამუშაოებისათვის, აგრეთვე ახალი ნიმუშის თვითსაშველები;

ბ) განიხილავს სასარგებლო წიაღისეულთა დამუშავების დროს მათი დანაკარგებისა და გაღარიბების ნორმატივების პროექტებს, რომლებსაც შესათანხმებლად უდგენენ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები.

16. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი:

ა) მონაწილეობას მიიღებს მრეწველობის ქვესაკონტროლო დარგებში უსაფრთხობის ტექნიკისა და მიწის წიაღის დაცვის ხაზით სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა თემატიკის განხილვაში;

ბ) დადგენილი წესით ჩაატარებს კონფერენციებსა და თათბირებს უსაფრთხობის ტექნიკისა და მიწის წიაღის დაცვის საკითხებზე;

გ) მოიწვევს საქართველოს სსრ სამინისტროებიდან, უწყებებიდან, მეცნიერებათა აკადემიიდან, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან (მათთან შეთანხმებით) სპეციალისტებს ექსპერტებად ერთ თვემდე ვადით, ამასთან მივლინების ხარჯებს აანაზღაურებს საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოების ხარჯზე და შეუნარჩუნებს მათ ხელფასს მუშაობის ადგილზე;

დ) მოაწყობს ინფორმაციას უსაფრთხობის ტექნიკისა და მიწის წიაღის დაცვის დარგში სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს მიღწევათა შესახებ და კონტროლს გაუწევს ამ მიღწევების გამოყენებას;

17. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი შექმნის, გადააკეთებს და გააუქმებს სსრ კავშირის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტთან შეთანხმებით სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ დარგობრივ, რაიონულ და სხვა ინსპექციებს მისთვის დაწესებულ საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში.

18. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი დაამტკიცებს დებულებებს საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ, სსრ კავშირის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის მიერ დამტკიცებული ტიპობრივი დებულებების შესაბამისად. დებულებანი განსაზღვრავენ ორგანოების უფლებამოსილებას საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში.

19. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტს და მის ადგილობრივ ორგანოებს მინიჭებული აქვთ უფლება:

ა) შეამოწმონ ქვესაკონტროლო საწარმოებში, წარმოებაში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში, თუ როგორ იცავენ იქ სამუშაოზე მუშათა დაშვების, მათი ინსტრუქტაჟისა და სამუშაოთა უსაშიშრო მეთოდების სწავლების უსაფრთხობის ტექნიკის წესებით გათვალისწინებულ წესს, აგრეთვე ატესტაციისა და ამ დარგში მათი ცოდნის შემოწმების წესს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოისმინონ შესაბამისი საწარმოებისა და ორგანოების წარმომადგენელთა ინფორმაცია სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების, საწარმოო ტრავმატიზმისა და მიწის წიაღის დაცვის საკითხებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის უსაშიშრო პირობებს და მიწის წიაღის მოვლა-პატრონობის წესების დაცვას;

გ) კონტროლი გაუწიონ გასამხედროებული სამთოსაშველი ნაწილების და გაზსაშველი სამსახურის ქვეგანაყოფების მდგომარეობასა და მზადყოფნას სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში, გარდა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციებისა; ამ ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მიერ პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარებას, აძლიონ დასკვნები სამთოსაშველი ნაწილების, გაზსაშველი სამსახურის ქვეგანაყოფების და ღია გაზისა და ნავთობის შადრევნების წარმოშობის თავიდან აცილებისა და მათი სალიკვიდაციო ნაწილების დისლოკაციის სქემების გამო, რომლებსაც სავალდებულო წესით წარუდგენენ შესათანხმებლად სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე შეამოწმოს მოქმედებაში ავარიების ლიკვიდაციის გეგმები;

დ) კონტროლი გაუწიონ ავარიის საწინააღმდეგო დაცვის საშუალებათა არსებობასა და მდგომარეობას, ავარიების ლიკვიდაციის გეგმების დროულად შედგენას შახტებში, მაღაროებში, ნავთობსარეწებში, ქიმიურ და ნავთობქიმიურ, მეტალურგიულ, ნავთობგადამმუშავებელ და გაზგადამმუშავებელ საწარმოებში და იმას, თუ რამდენად შეესაბამება ეს გეგმები საწარმოებში არსებულ ნამდვილ მდგომარეობას, აგრეთვე იმას, თუ რა მდგომარეობაშია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა შახტებისა და მაღაროების მიწისქვეშა გამომუშავებაში;

ე) განიხილონ დადგენილი წესით ვითარება და მიზეზები ავარიებისა და მძიმე შედეგიანი საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევებისა ქვესაკონტროლო საწარმოებში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში, მიიღოს განხილვის შედეგების მიხედვით უსაფრთხობის ტექნიკის წესებიდან და სხვა ნორმატიული დოკუმენტებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებანი, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საწარმოების, ობიექტებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის.

საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოების ქვესაკონტროლო საწარმოები, ობიექტები და ორგანიზაციები, აგრეთვე ის ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ამ ორგანოების ქვესაზედამხედველო ობიექტების ექსპლუატაციას, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ დადგენილი წესით რესპუბლიკის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოებს მომხდარი ავარიების, მძიმე შედეგიანი საწარმოო ტრავმატიზმის, აგრეთვე ჯგუფური და ისეთი უბედური შემთხვევების შესახებ, რომლებსაც ადამიანის მსხვერპლი მოყვა.

20. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10.X83

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე.

21. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა იმ ამოცანების და მოვალეობათა შესრულებისათვის, რომლებიც დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტს, იგი დააწესებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების, განყოფილებათა უფროსების და კომიტეტის სხვა ქვეგანყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის სისტემის ორგანიზაციათა საქმიანობისათვის.

22. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) გამოსცემს საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონების, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ბრძანებების და მითითებათა საფუძველზე, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის დარგობრივი, საქალაქო და რაიონული ინსპექციების მიერ შესასრულებლად და ამოწმებს მათ შესრულებას;

ბ) დაამტკიცებს ქვესაუწყებო ორგანიზაციათა სტრუქტურას და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატებს საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტისათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით;

გ) დააწესებს და შეცვლის კომიტეტის ცენტრალური აპარატის მუშაკთა და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული ინსპექციების ხელმძღვანელ მუშაკთა თანამდებობრივ განაკვეთებს თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

დ) წარდგინებით მიმართავს საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების სამმართველოების, კომბინატებისა და ტრესტების ხელმძღვანელებს და მოითხოვს იმ მითითებათა გაუქმებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისა და მიწის წიაღის დაცვის წესებს, ნორმებსა და ინსტრუქციებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სათანადო წინადადებებს წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ე) დააყენებს იმ სამინისტროებისა და უწყებების წინაშე, რომლებიც ეწევიან მანქანების, აპარატურისა და მოწყობილობის შემუშავებას კომიტეტის ქვესაკონტროლო მრეწველობის დარგებისათვის, საკითხებს მანქანებისა და მოწყობილობის კონსტრუქციების, დამზადებისა და მონტაჟის ნაკლოვანებათა გამოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წორების შესახებ, რათა უზრუნველყოფილ იქნას უსაფრთხობის ტექნიკა ექსპლუატაციის დროს.

23. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს უფლება ენიჭებათ:

ა) აძლიონ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების სამმართველოებს, კომბინატებს და ტრესტებს წინადადებანი, ხოლო საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების სამმართველოებსა და განყოფილებებს, მათს საწარმოებსა და ორგანიზაციებს — მიწერილობანი, რათა აღმოფხვრან საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოების მიერ გამოვლინებული დარღვევანი სამთო, აფეთქების და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების მოქმედი წესებისა, ნორმებისა და ინსტრუქციებისა, სასარგებლო წიაღისეულთა და საბადოების ექსპლუატაციის და მიწის წიაღის დაცვის წესებისა, ნორმებისა და ინსტრუქციებისა, ამწე ნაგებობათა, ქვაბზედამხედველობის და საგაზო ზედამხედველობის ობიექტების მოწყობის და უსაშიშრო ექსპლუატაციის წესებისა, აგრეთვე უსაფრთხობის ტექნიკის წესებისა, ნორმებისა და ინსტრუქციებისა და ტექნოლოგიური რეგლამენტებისა ქიმიურ, ნავთობქიმიურ, მეტალურგიულ, ნავთობგადამმუშავებელ და გაზგადამმუშავებელ წარმოებაში;

ბ) აძლიონ შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი, რათა შეჩერდეს მუშაობა საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოების ქვესაკონტროლო მოქმედ, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოებში, წარმოებაში და ობიექტებზე, როდესაც უსაფრთხობის ტექნიკის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დარღვევა საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან ამას შეიძლება მოყვეს ავარიები;

გ) დანიშნონ საჭიროების შემთხვევაში სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო საკონტროლო გამოცდა მოწყობილობისა და მასალებისა, საკონტროლო ანალიზები მუშაობისა და გარემოსი, აგრეთვე მოწყობილობის ტექნიკური შემოწმება;

დ) მიიღონ ქვესაკონტროლო საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან და სხვა თანამდებობის პირებისაგან საჭირო ახსნა-განმარტება და ცნობები კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

ე) წარდგინებით მიმართონ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების სამმართველოებს, კომბინატებსა და ტრესტებს, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარეობენ, თანამდებობიდან გადააყენონ კომიტეტის ქვესაკონტროლო საწარმოების, წარმოების, ობიექტებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომელთაც არა აქვთ სათანადო ცოდნა უსაფრთხობის ტექნიკის დარგში ან სამუშაოთა წარმოების უფლება, აგრეთვე თანამდებობიდან გადააყენონ ან სამუშაოებისადმი ტექნიკური ხელმძღვანელობის უფლება ჩამოართვან ერთ წლამდე ვადით იმ პირებს, რომლებიც სისტემატურად არღვევენ უსაფრთხობის ტექნიკის და მიწის წიაღის დაცვის წესებს, ნორმებსა და ინსტრუქციებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერ ასრულებენ მიწერილობებს აღნიშნული წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დარღვევის აღმოფხვრის შესახებ, რომლებმაც დაუშვეს მოწყობილობისა და ობიექტების თვითნებურად გადაცემა საექსპლუატაციოდ და საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოების მითითებით შეჩერებული სამთო, გეოლოგიურ-სადაზვერვო და სხვა სამუშაოების განახლება, ხოლო საჭირო შემთხვევებში გადასცენ მასალები პროკურატურის ორგანოებს.

24. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის კოლეგია შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით და კოლეგიის წევრები საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა რიცხვიდან.

კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად ტარდება, განიხილავს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოებისადმი სახელმწიფო სამთოზედამხედველობის განხორციელების საკითხებს და საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, განიხილავს თავისი სისტემის ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის სისტემის ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებებსა და ანგარიშებს.

25. უსაფრთხობის ტექნიკის მდგომარეობის გაუმჯობესების, ავარიების თავიდან აცილებისა და საწარმოო ტრავმატიზმის შემცირების, მიწის წიაღის დაცვისა და აფეთქების საკითხებზე სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების შედეგების, აგრეთვე მრეწველობის საქვეკონტროლო დარგების საწარმოებსა და წარმოებებში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების პროექტების განსახილველად საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიც შევლენ გამოჩენილი მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მუშაკები, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების წარმომადგენლები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს კომიტეტი.

26. კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე კომიტეტის ინსპექციებისა და განყოფილებათა დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის მიერ დამტკიცებული ტიპობრივი დებულების შესაბამისად. ინსპექციების და განყოფილებათა დებულებანი გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვრავენ მათს უფლებამოსილებას საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში.

27. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის განყოფილებათა უფროსებს, მათ მოადგილეებს, დარგობრივი ინსპექციების უფროსებს და მათ მოადგილეებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის რაიონული და საქალაქო ინსპექციების უფროსებს უფლება ენიჭებათ:

ა) აწარმოონ ყოველ დროს ქვესაკონტროლო საწარმოების, წარმოების, ობიექტებისა და ორგანიზაციების, სამთოსაშველი ნაწილების და გაზსაშველი სამსახურის ქვეგანაყოფების და ნავთობისა და გაზის ღია შადრევნების წარმოშობის თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ნაწილების გამოკვლევა, აგრეთვე მოახდინონ ქვაბზედამხედველობის ობიექტებისა და ამწე ნაგებობათა ტექნიკური შემოწმება;

ბ) მიიღონ გამოკვლევის პერიოდში საწარმოების, წარმოების, ობიექტებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირებისაგან ახსნა-განმარტება საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და გასაცნობად საჭირო ცნობები და ანგარიშები ანგარიშგების არსებული ფორმების მიხედვით, სამთო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა გეგმები, სამთო და აფეთქების სამუშაოთა, ჭაბურღილების, ამწე ნაგებობების, ქვაბზედამხედველობისა და გაზზედამხედველობის ობიექტების და ქიმიურ, ნავთობქიმიურ, მეტალურგიულ, ნავთობგადამმუშავებელ და გაზგადამმუშავებელ წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესების ტექნიკური დოკუმენტაცია;

გ) აძლიონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისათვის სავალდებულო მითითებანი იმის შესახებ, რომ აღმოფხვრან დარღვევები სამთო სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების მოქმედი წესებისა, ნორმებისა და ინსტრუქციებისა, სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციის და მიწის წიაღის დაცვის წესებისა, ნორმებისა და ინსტრუქციებისა, ამწე ნაგებობათა, ქვაბზედამხედველობის და გაზზედამხედველობის ობიექტების მოწყობის და უსაშიშრო ექსპლუატაციის წესებისა, აგრეთვე უსაფრთხობის ტექნიკის წესებისა, ნორმებისა და ინსტრუქციებისა და ტექნოლოგიური რეგლამენტებისა ქიმიურ, ნავთობქიმიურ, მეტალურგიულ, ნავთობგადამმუშავებელ და გაზგადამმუშავებელ წარმოებაში;

დ) შეაჩერონ ახლად აშენებული ან რეკონსტრუირებული საწარმოებისა და ობიექტების მუშაობა, თუ მათი საექსპლუატაციოდ გადაცემის დროს დარღვეული იყო უსაფრთხობის ტექნიკის წესები, ნორმები და ინსტრუქციები ან გადასცეს საექსპლუატაციოდ საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის სათანადო ორგანოების ნებადაურთველად;

ე) წარდგინებით მიმართონ ქვესაკონტროლო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სამუშაოდან გადააყენონ ის პირები, რომლებიც სისტემატურად არღვევენ სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების და მიწის წიაღის დაცვის წესებს, ნორმებსა და ინსტრუქციებს, აგრეთვე ის პირები, რომლებმაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეითნებურად განაახლეს რესპუბლიკის სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოების წარმომადგენელთა მიერ შეჩერებული სამუშაოები, ხოლო საჭირო შემთხვევებში გადასცენ მასალები პროკურატურის ორგანოებს;

ვ) აძლიონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი, რომ თანამდებობიდან გადააყენონ სამთო და აფეთქების სამუშაოთა ხელმძღვანელი პირები, რომელთაც არ მოეპოვებათ სათანადო დოკუმენტები, რომლებიც ანიჭებენ მათ ასეთ სამუშაოთა წარმოების უფლებებს, აგრეთვე ის პირები, რომლებსაც არა აქვთ უფლება უხელმძღვანელონ ქვაბზედამხედველობის ობიექტებს, ამწე ნაგებობებსა და სხვა ქვესაკონტროლო ობიექტებს;

ზ) მიიღონ საჭიროების შემთხვევაში სამთომომპოვებელი საწარმოებისაგან ანგარიშგების დაწესებული ფორმების მიხედვით მონაცემები მიწის წიაღში სასარგებლო წიაღისეულთა გეგმიანი დანაკარგებისა და გაღარიბების შესახებ, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულთა მოპოვებისას ფაქტიური დანაკარგებისა და გაღარიბების შესახებ;

თ) აძლიონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი, რათა შეაჩერონ სამუშაოები საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის ორგანოების ქვესაკონტროლო მოქმედ, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ საწარმოებში, წარმოებაში და ობიექტებზე, გამოიყვანონ მუშები და დაბეჭდონ მუშაობის ადგილები ან აგრეგატები, თუ გამოვლინებულ იქნა უსაფრთხობის ტექნიკის წესების ნორმებისა და ინსტრუქციების დარღვევა, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან რასაც შეუძლია ავარიების წარმოშობა;

ი) აკრძალონ ქვესაკონტროლო საწარმოებში, წარმოებაში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში ისეთი მანქანების, აპარატებისა და მოწყობილობის გამოყენება, რომლებიც არ შეესაბამებიან უსაფრთხობის ტექნიკის წესების მოთხოვნებს და რომელთა ექსპლუატაციის დროს იქმნება შრომის საშიში პირობები;

კ) დანიშნონ საჭიროების შემთხვევაში ქვესაკონტროლო საწარმოებისა, წარმოებისა, ობიექტებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო საკონტროლო გამოცდა მოწყობილობისა და მასალებისა, საკონტროლო ანალიზები მუშაობისა და გარემოსი, აგრეთვე მოწყობილობის ტექნიკური შემოწმება.

26. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ცენტრალური აპარატის ინჟინერ-ინსპექტორებსა და უფროს ინჟინერ-ინსპექტორებს, საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის სისტემის დარგობრივი და რაიონული ინსპექციების განყოფილებათა უფროსებს, მთავარ მექანიკოსებს, მთავარ მარკშეიდერებს, მთავარ გეოლოგებს, მთავარ ინსპექტორებს და ინსპექტორებს უფლება ენიჭებათ:

ა) ყოველ დროს დაათვალიერონ ქვესაკონტროლო საწარმოები, წარმოება, ობიექტები და ორგანიზაციები, აწარმოონ მათი გამოკვლევა, აგრეთვე მოწყობილობის ტექნიკური შემოწმება, გაეცნონ ანგარიშებს, სამთო და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა გეგმებს, ტექნოლოგიური პროცესების წარმოების ტექნიკურ დოკუმენტაციას და სხვა მასალებს, მიიღონ თანამდებობის პირთა ახსნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტება და ცნობები ხელმძღვანელებისაგან საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

ბ) აძლიონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი, რომ შეაჩერონ სამუშაოები საქართველოს სსრ სახსამთოტექზედამხედველობის კომიტეტის ქვესაკონტროლო მოქმედ, მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფ წარმოებაში, გამოიყვანონ მუშები და დაბეჭდონ სამუშაო ადგილები ან აგრეგატები, თუ გამოვლინებულ იქნა უსაფრთხობის ტექნიკის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დარღვევა, რასაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას ადამიანთა სიცოცხლეს ან გამოიწვიოს ავარიები. სამუშაოთა განახლება ასეთ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოების თანამდებობის პირთა ნებართვით;

გ) აძლიონ საწარმოების, წარმოების, ობიექტებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის სავალდებულო მიწერილობანი, რათა აღმოფხვრან დარღვევა სამთო, აფეთქების და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების წესებისა, ნორმებისა და ინსტრუქციებისა, სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციის და მიწის წიაღის დაცვის წესებისა, ნორმებისა და ინსტრუქციებისა, ამწე ნაგებობათა, ქვაბზედამხედველობისა და გაზზედამხედველობის ობიექტების მოწყობისა და უსაშიშრო ექსპლუატაციის წესებისა, აგრეთვე უსაფრთხობის ტექნიკის წესებისა, ნორმებისა და ინსტრუქციებისა და ტექნოლოგიური რეგლამენტებისა ქიმიურ, ნავთობქიმიურ, მეტალურგიულ, ნავთობგადამმუშავებელ და გაზგადამმუშავებელ წარმოებაში;

დ) აკრძალონ ისეთი მანქანების, აპარატებისა და მოწყობილობის გამოყენება ქვესაკონტროლო საწარმოებში, წარმოებაში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ უსაფრთხობის ტექნიკის წესების მოთხოვნებს და რომელთა ექსპლუატაციის დროს იქმნება შრომის საშიში პირობები, და აცნობონ ეს საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ზემდგომ ორგანოს;

ე) აწარმოონ საჭიროების დროს საწარმოებში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში იმის შემოწმება, თუ რამდენად იცნობენ უსაფრთხობის ტექნიკის წესებს სამთო, საბურღი და აფეთქების სამუშაოებზე, ქიმიურ, ნავთობქიმიურ, მეტალურგიულ, ნავთობმეტალურგიულ და წარმოებაში დასაქმებული მუშები, აგრეთვე პერსონალი, რომელიც მომსახურებას უწევს მექანიზმებს, აგრეგატებს, ამწე ნაგებობებს ქვაბზედამხედველობისა და გაზზედამხედველობის ობიექტებს, წარდგინებით მიმართონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რათა სამუშაოდან გადააყენონ ის პირები, რომელთაც არა აქვთ საჭირო ცოდნა უსაფრთხობის ტექნიკის დარგში, აგრეთვე ის პირები, რომლებიც სისტემატურად არღვევენ უსაფრთხობის ტექნიკის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების მოთხოვნებს.

29. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის სისტემის ინსპექტორთა შემადგენლობას ეკისრება იმის პასუხისმგებლობა, რომ დროუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად და გულმოდგინედ გაეწიოს კონტროლი ქვესაკონტროლო საწარმოებში, წარმოებაში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების შესრულებას, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ექსპლუატაციის სისწორესა და მიწის წიაღის დაცვას.

ინსპექტორთა შემადგენლობის ძირითადი ამოცანაა პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარება ავარიების, საწარმოო ტრავმატიზმის, აგრეთვე საბადოების დამუშავებისას სასარგებლო წიაღისეულთა დანაკარგების თავიდან აცილებისათვის.

საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოების ინსპექტორებს უფლება ენიჭებათ გააფორმონ მასალები იმ თანამდებობის პირების დასაჯარიმებლად დადგენილი წესით, რომელთაც ის დანაშაული მიუძღვით, რომ არაერთხელ დაარღვიეს ქვესაკონტროლო საწარმოებში, წარმოებაში, ობიექტებზე და ორგანიზაციებში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების მოქმედი წესები, ნორმები და ინსტრუქციები, თუ ეს დარღვევა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 9 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად, ჯარიმას დაადებენ:

ა) საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის რაიონული, საქალაქო და დარგობრივი ინსპექციები — 10 მანეთამდე;

ბ) საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები — 50 მანეთამდე;

აღნიშნული ჯარიმების დადების დროს საჭირო არ არის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისათვის მიმართვა.

30. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტს და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ ადგილობრივ ორგანოებს აქვთ ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია სახელმწიფო გერბი თავისი სახელწოდებით.

31. საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ორგანოების ქვესაკონტროლო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე ის ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ამ ორგანოების ქვესაზედამხედველო ობიექტების ექსპლუატაციას, მოვალენი არიან უზრუნველყონ საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტის ადგილობრივი ორგანოების მუშაკები სამსახურებრივი სადგომებით, საცხოვრებელი ფართობით, კომუნალური მომსახურებით და სატელეფონო კავშირით ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების თანაბრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

38 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების მოქმედების გავრცელების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 822 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გავრცელდეს 1968 წლის მეორე ნახევრიდან რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებზე, რომლებიც იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე და წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 15 მაისი, № 238.

39 თბილისში ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმის მშენებლობის და კეთილმოწყობის სამუშაოთა ღონისძიებათა შესახებ

(ამონაკრები)

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობის ძეგლების შენარჩუნების, დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით შექმნილი პარკ-მუზეუმის მშენებლობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმში ექსპონირებული უნდა იყოს საქართველოსთვის დამახასიათებელი ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები თავისი შინაგანი მოწყობილობით, აგრეთვე სამუზეუმო საბჭოს მიერ შერჩეული ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები.

ობიექტები, რომელთა აგებაც პარკ-მუზეუმის ტერიტორიაზე მიზანშეუწონელია, წარმოდგენილ უნდა იქნეს, მაკეტის ან სურათის სახით საგამოფენო დარბაზში.

2. დამტკიცდეს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმის მოწყობის სამუშაოთა სამწლიანი (1968—1970 წწ) გეგმა თანახმად დანართისა იმ ვარაუდით, რომ მუზეუმში დამთვალიერებლების დაშვება მოხდეს 1971 წლის 1 მაისიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დაამალოს და გამოიყენოს დასანერგი შენობების მასალები პარკ-მუზეუმის საჭიროებისათვის.

7. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პარკ-მუზეუმის ექსპონატები, ნაგებობებისა და ნივთების სახით, შეიძინოს კერძო პირებისაგან სამინისტროსთან შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დადგენილი შეფასების მიხედვით.

შემფასებელ კომისიაში მონაწილეობას უნდა იღებდეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და ადგილობრივი აღმასკომის წარმომადგენლები.

ექსპონატების შეფასების დამტკიცება მოხდეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიაზე.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით ბალანსიდან ბალანსზე გადასცეს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმს ნაგებობათა დეტალები და შინაგანი მოწყობილობის ნივთები.

9. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ბერქნის დაცვის კანტორის მეშვეობით, დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმს ექსპონატების ხის ნაწილების ქიმიური დამუშავების საქმეში.

10. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დახმარება გაუწიონ ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმს საექსპონატო ობიექტების შერჩევისა და შეძენის საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 30 მაისი, № 280.

40 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს შუამდგომლობა და ნება დაერთოს მას იქონიოს, როგორც ბამონაკლისი, უწყებრივი საცხოვრებელი სახლები გაზსადაზვერვო ექსპედიციის მუშაკებისათვის; ამასთან დაკავშირებით, დაემატოს შემდეგი პუნქტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად დაიშვება იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით და საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან დანაშაულის ჩადენისათვის:

„94. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს ტრესტ „საქქვანახშირძიების“ გაზსადაზვერვო ექსპედიციის საცხოვრებელი სახლი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 30 მაისი, № 282.

41 რძისა და ნაღების შესასყიდი ფასების გადიდების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გადიდდეს 1968 წლის 1 ივნისიდან შესასყიდი ფასები რძისა, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან საგარეუბნო რაიონებში მდებარე კოლმეურნეობები, ტონაში 35 მანეთი, ხოლო მთლიანად 700 ათასი მანეთის რაოდენობით (1966 წელს ამ რაიონებში რძის შესყიდვის მოცულობაზე გაანგარიშებით) და დაწესდეს შესასყიდი ფასები რძისა, რომელსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან საგარეუბნო რაიონებში მდებარე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები, — ტონა 190 მანეთის რაოდენობით.

დამტკიცდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული სია საქართველოს სსრ საგარეუბნო რაიონებისა, რომლებშიაც გადიდდება რძის შესასყიდი ფასები, № 1 დანართის თანახმად.

2. დამტკიცდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული სია მთიანი რაიონებისა, რომელთა კოლმეურნეობებში დაწესებულია ნაღების ფასის წანამატები და დიდდება ერბო-კარაქის შესასყიდი ფასები 50 ათასი მანეთის საერთო თანხის რაოდენობით (1966 წელს ამ რაიონებში რძის შესყიდვის მოცულობაზე გაანგარიშებით), № 2 დანართის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოთ დამამზადებელ ორგანიზაციებს, 1968 წლის 1 ივნისიდან დაწყებული, გადაუხადონ საქართველოს სსრ № 2 დანართში ჩამოთვლილი მთიან რაიონებში მდებარე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს წანამატი 4 კაპიკის რაოდენობით ერთ კილოგრამ ნაღებში ცხიმის 10 პროცენტისათვის, 2 მან. 10 კაპიკი — 1 კილოგრამი კარაქისათვის, რომელიც შეიცავს ცხიმს არანაკლებ 75 პროცენტისა და 2 მან. 70 კაპ. — 1 კილოგრამი ერბოსათვის, რომელიც შეიცავს ცხიმს არანაკლებ 95 პროცენტისა.

ნება დაერთოს რესპუბლიკის მთიან რაიონებში მდებარე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს მიჰყიდონ კარაქი და ერბო (სტანდარტული) უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს კარაქისა და ერბოს სახელმწიფო საცალო ფასებში, სავაჭრო ფასჩამოკლების გამოკლებით.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა:

ა) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს ორი კვირის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნას საანგარიშსწორებო ფასები რძის მრეწველობის საწარმოებისათვის დანახარჯების ასანაზღაურებლად რძისა და ნაღების შესასყიდი ფასების გადიდებასთან დაკავშირებით, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას რძის მრეწველობის რენტაბელობის შექმნილი დონე;

ბ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიტანოს სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლებში, ხოლო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ — მოკავშირე რესპუბლიკების 1968 წლის ბიუჯეტებთან საკავშირო ბიუჯეტის ურთიერთ ანგარიშსწორებაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მიერ რძის, ნაღებისა და ერბო-კარაქის რეალიზაციისაგან მიღებული დამატებით შემოსავალი გამოყენებული იქნება სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასების გადიდებით გამოწვეული დანახარჯების საკომპენსაციოდ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 31 მაისი, № 289.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 31 მაისის № 289
დადგენილების დანართი № 1

ს ი ა

საგარეუბნო რაიონებისა, რომლებშიაც დიდდება რძის შესასყიდი ფასები

გარდაბნის	რაიონი	ბათუმის	რაიონი
ქარელის	„	გაგრის	„
კასპის	„	წყალტუბოს	„
საგარეჯოს	„	ბორჯომის	„
თიანეთის	„	ხაშურის	„
დუშეთის	„	გურჯაანის	„
მცხეთის	„	წულუკიძის	„
მარნეულის	„	თერჯოლის	„
ბოლნისის	„	ზუგდიდის	„
თეთრიწყაროს	„	გულრიფშის	„
გორის	„	ორჯონიკიძის	„
სამტრედიის	„	ზესტაფონის	„
ტყიბულის	„	ზნაურის	„
ჭიათურის	„	ჯავის	„
საჩხერის	„	ლენინგორის	„
ხობის	„	ასპინძის	„
აბაშის	„	ახალციხის	„
სოხუმის	„	ადიგენის	„
ოჩამჩირის	„	ცხინვალის	„

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
1968 წლის 31 მაისის № 289
დადგენილების დანართი № 2

ს ი ა

მთიანი რაიონებისა, რომლებშიაც დიდდება ნაღებისა და ერბო-კარაქის შესასყიდი ფასები

ახალციხის	რაიონი	ცაგერის	რაიონი
ადიგენის	„	ქედის	„
ასპინძის	„	შუახევის	„
ახმეტის	„	ხულოს	„
ორჯონიკიძის	„	ლენინგორის	„
ყაზბეგის	„	ჯავის	„
ონის	„	მესტიის	„
ამბროლაურის	„	ლენტეხის	„

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

42 ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების სანიტარული დასუფთავების საკითხები

„საქართველოს სსრ საბინაო ფონდისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 ნოემბრის № 696 დადგენილების მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ქალაქებისა და დაბების ქუჩების სავალი ნაწილის და მოედნების სანიტარული დასუფთავების ტარიფები, წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ, დანართის თანახმად, და შემოღებულ იქნას ეს ტარიფები სამოქმედოდ 1968 წლის 1 ივლისიდან.

დაწესდეს, რომ მოსახლეობა გადაიხდის ქუჩების სავალი ნაწილისა და მოედნების დასუფთავების საფასურს იმ ტარიფების მიხედვით, რომლებიც მოქმედებდნენ მოცემულ დასახლებულ პუნქტში 1968 წლის 1 ივლისამდე, მაგრამ არაუმეტეს იმისა, რაც დამტკიცებულია ამ დადგენილებით საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

2. დაევალოთ ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ერთი დეკადის ვადაში გადასინჯონ და დაამტკიცონ სამეურნეო ნაგვისა და თხევადი სიბინძურის გატანის ღირებულების კალკულაცია ადგილობრივი პირობებისა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მითითებების გათვალისწინებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ორი დღის ვადაში დაუგზავნოს ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ინსტრუქცია სამეურნეო ნაგვისა და თხევადი სიბინძურის გატანის ღირებულების კალკულაციის შედგენის წესის შესახებ მოცემული დასახლებული პუნქტის სანიტარული დასუფთავების მომსახურების თვითღირებულებისა და რენტაბელობის საფუძველზე, არაუმეტეს 5 პროცენტისა.

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს სახლმმართველობებისა და საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების განთავისუფლება ქუჩების სავალი ნაწილის, სანაპიროებისა და სხვა საერთო-საქალაქო ტერიტორიების დასუფთავებისაგან და დაეკისროს ეს სამუშაო რესპუბლიკის ქალაქებისა და დაბების სანიტარული დასუფთავების ორგანოებს.

ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა დაადგინონ ამ ღონისძიების განხორციელების ვადები ადგილობრივი პი-

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რობების მიხედვით, მაგრამ იმ პირობით, რომ აუცლებლად დამთავრდეს სამუშაოები 1968 წლის დამლევამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 3 ივნისი, № 292.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 3 ივნისის № 292
დადგენილების დანართი

ტ ა რ ი ფ ე ბ ი

საქართველოს სსრ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების ქუჩების სავალი ნაწილის და მოედნების სანიტარული დასუფთავებისათვის (შემოღებულია 1968 წლის 1 ივლისიდან)

	თვიური სატარიფო განაკვეთის რაოდენობა დასასუფთავებელი ფართობის 10 კვ. მეტრზე—კაპ.			
	ქ. თბილისი	I ჯგუფს მიკუთვნებული ქალაქები	II ჯგუფს მიკუთვნებული ქალაქები	III ჯგუფს მიკუთვნებული ქალაქები და დაბები
საწარმოები ორგანიზაციები და ა. შ.	37	28	24	21
მოსახლეობა				

იმ ტარიფებით, რომლებიც მოქმედებდა მოცემულ დასახლებულ პუნქტში 1968 წ. 1 ივლისამდე, მაგრამ არა უმეტეს იმისა, რაც დაწესებულია 1968 წ. 1 ივლისიდან საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის

პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ქალაქები: ბათუმი, ბორჯომი, გაგრა, გორი, ზუგდიდი, ქუთაისი, ფოთი, რუსთავი, სოხუმი, ტყიბული, ცხინვალი, წყალტუბო, ჭიათურა.

მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ქალაქები: გურჯაანი, ზესტაფონი, ქობულეთი, ლაგოდეხი, მახარაძე, მცხეთა, სამტრედია, თელავი, ხაშური, ცხაკაია.

რესპუბლიკის ყველა დანარჩენი ქალაქი და ქალაქის ტიპის დაბა მიკუთვნებულია მესამე ჯგუფზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

43 საქართველოს სს რესპუბლიკაში წყალზე ადამიანთა სიცოცხლის დაცვის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გადაჭრით გააძლიერონ იმ მუშაობისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა, რომელიც წარმოებს ადამიანთა სიცოცხლის დასაცავად მდინარეებზე, ტბებსა და ზღვების სანაპირო უბნებზე, რისთვისაც:

ა) მოაწყონ კადრების მომზადება საშველი სამსახურის შესაბამისი სპეციალობის მიხედვით ქ. თბილისის, სოხუმის, ბათუმის საშველ სადგურებთან;

ბ) მოახდინონ პლაჟების რადიოფიცირება საშველი სადგურების და საგუშაგოების მოქმედების ზონებში და საჭიროების მიხედვით ჩაატარონ რადიოგადაცემები ისე, რომ დაცულ იქნას მდინარეებზე, ტბებსა და ზღვებში ცურვის უსაფრთხობის ზომები;

გ) მოსთხოვონ იმ უწყებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც წყალსატევებსა და ზღვის უბნებს იყენებენ, მტკიცედ დაიცვან დებულებანი საშევლი სამსახურის შესახებ, მოაწყონ უწყებრივი საშველი საგუშაგოები, უზრუნველყონ ისინი საცურაო საშუალებებით და საჭირო ქონებით, მოქმედი დებულების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

ბ) 1969 წლიდან დაწყებული, გაითვალისწინოს სახსრების გამოყოფა საშველი სადგურების მშენებლობისათვის.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს ყოველწლიურად გამოუყონ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საშველი სამსახურისათვის საჭირო მოწყობილობის, ინვენტარისა და ქონების ფონდები, მათ მიერ წარდგენილი განაცხადების შესაბამისად.

4. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს წესრიგის დაცვა და საშველი სადგურების მუშაობისათვის ხელშეწყობა მდინარეებზე, ტბებსა და ზღვების სანაპირო უბნებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრს პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყოს შეუფეხრებელი და საიმედო სატელეფონო კავშირი თბილისის ზღვასთან, ლისისა და კულ ტბასთან.

7. დაევალოს საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს გააძლიეროს რესპუბლიკის მოსახლეობაში დახმარების გაწევა წყალწაღებულთათვის და თვითდახმარების მეთოდების სწავლება მოქალაქეებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 7 ივნისი, № 304.

44 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს დებულებაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული კარსტული გამოქვაბულების უკეთ დაცვისა და მოვლის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს დებულებაში, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ოქტომბრის № 635 დადგენილებით, შეტანილ იქნას შემდეგი დამატება:

ა) დებულების პირველი პუნქტის მეორე აბზაცის ბოლო სიტყვებს: „სამონადირეო სპორტისა და რეწვის განვითარებას“ დაემატოს სიტყვები: „აგრეთვე კარსტული გამოქვაბულების დაცვასა და მოვლას“;

ბ) განაყოფს „სამონადირეო მეურნეობის დარგში“ დაემატოს განაყოფი: „კარსტული გამოქვაბულების დარგში“ ქვეპუნქტით „ი¹“ შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კარსტული გამოქვაბულების დაცვასა და მის ბუნებრივ მდგომარეობაში შენარჩუნებას“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 11 ივნისი, № 306.

45 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 ივნისის № 425 დადგენილების დამატებისა და ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 ივნისის № 425 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ადამიანისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჰელმინთოზების წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებანი აღნიშნულ საკითხზე სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ ყველა სამინისტროსა, უწყებასა, დაწესებულებასა, მეუნრეობასა და მოქალაქეთათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 11 ივნისი, № 307.

ეროვნული ბიბლიოთეკა

46 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ტარის განმეორებით გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებებისა და ეკონომიური სახეობის ტარის წარმოების გადიდების შესახებ[1])

„სახალხო მეურნეობაში ტარის განმეორებით გამოყენების ზომებისა და ეკონომიური სახეობის ტარის წარმოების გადიდების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 აპრილის № 247 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს:

იმის განსაზღვრა, თუ რამდენი სჭირდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობას საგარეო (სატრანსპორტო) ტარა და ტარისათვის საჭირო მასალები;

ახალი, დასაბრუნებელი ტარის და სატარე მასალების ბალანსების განაწილების გეგმების შემუშავება იმ ნომენკლატურის მიხედვით, რომლისთვისაც სსრ კავშირის სახმომარაგება ამტკიცებს ბალანსებსა და განაწილების გეგმებს;

საგარეო ტარის განმეორებით გამოყენების, აგრეთვე დასაბრუნებელი ხისა და მუყაოს ტარის რემონტისა და გადამუშავების ორგანიზაცია;

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მომარაგება ახალი და დასაბრუნებელი ხის, ქაღალდის, მუყაოს და ლითონის საგარეო ტარით და მისი გასაღება;

რის წარმოების გეგმების შესრულებისადმი, სამინისტროებისა და უწყებების ტარის საწარმოების მშენებლობის მიმდინარეობისადმი, ახალი ეკონომიური სა-

კონტროლი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე დამამზადებელი საწარმოების მიერ ტარისა და სატარე მასალების მიწოდების გეგმების და ტახეობის ტარის, ტარის მასალების ხარჯვის ნორმების დანერგვისადმი და ტარის სწორად გამოყენებისადმი საწარმოებში, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

ხე-ტყისა და საშენი მასალების, სტანდარტული სახლების საცალო ვაჭრობის, აგრეთვე დროებით — სათბობის ვაჭრობის ორგანიზაცია.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს დაეკისრა დასაბრუნებელი ხისა და მუყაოს ტარის რემონტი და გადამუშავება, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მომარაგება ტარითა და სატარე მასალებით:

ა) გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგების მთავარ სამმართველოს გამგებლობაში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის რესპუბლიკური კანტორა — „საქტყესაშენვაჭრობა“ მთელი მისი ქვესაუწყებო ორგანიზაციებით, საწარმოებითა და მაღაზიებით, დანართის თანახმად.

[1]) დანართი არ არის მოყვანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღება და გადაცემა მოხდეს სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 29 აპრილის დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად წარმოების, საქონელბრუნვის, კაპიტალური მშენებლობის, შრომის 1968 წლისათვის დამტკიცებული გეგმებით, ხელფასის პერსონალურ წანამატების ფონდებით, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და მოწყობილობის ფონდებით და გეგმის სხვა მაჩვენებლებით.

შეუნარჩუნდეთ გადაცემულ ხე-ტყის სავაჭრო საწარმოებს, ბაზებსა და საწყობებს ხე-ტყისა და სამშენებლო მასალების საცალო ვაჭრობა, აგრეთვე დროებით — სათბობის ვაჭრობა;

ბ) ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს:

შექმნას „საქტყესაშენვაჭრობის“ კანტორის ბაზაზე ტარის შეგროვების, რემონტის, გადამუშავების, მიწოდებისა და ხე-ტყისა და სამშენებლო მასალების ვაჭრობის რესპუბლიკური ტრესტი — „საქტარა“, რომელიც მოაწყობს დასაბრუნებელი ხისა და მუყაოს ტარის რემონტსა და გადამუშავებას, განახორციელებს ტარისა და სატარე მასალების მომარაგება-გასაღების ფუნქციებს, აგრეთვე ხელმძღვანელობას გაუწევს ტარის სარემონტო და ხე-ტყის სავაჭრო საწარმოებს, ბაზებსა და საწყობებს;

ორი თვის ვადაში განიხილოს საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია მცირე ფილიალების, ხე-ტყის სახერხი ფართო მოხმარების საამქროების და „საქტყესაშენვაჭრობის“ სხვა ობიექტების შენარჩუნება, და გადაწყვიტოს მათი გამსხვილების საკითხი;

გააუქმოს ტარის მრეწველობის ფუნქციონალური საწარმოო-ტექნიკური სამმართველო 21 კაცის პერსონალით და მის ბაზაზე მოაწყოს ტარის განმეორებით გამოყენების, მომარაგებისა და გასაღების განყოფილება 8 კაცის რაოდენობით და სამმართველოს განთავისუფლებული პერსონალი გამოიყენოს არსებული განყოფილებების განსამტკიცებლად და სხვა განყოფილებების შესაქმნელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს ცენტრალურ აპარატში, ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში და თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველო შეიმუშავებს და დაამტკიცებს ხისა და მუყაოს ტარის განმეორებით გამოყენების გეგმებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ:

ა) შეიმუშაოს დაწესებულ ვადაში და დაამტკიცოს ხისა და მუყაოს ტარის განმეორებით გამოყენების 1969 წლის გეგმა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყოს 1969-1972 წლებში ამ ახალი სპეციალიზებული ტარის სარემონტო საწარმოს მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა და მოქმედი ტარის სარემონტო-საწარმოების რეკონსტრუქცია, მათ შორის 1969 წელს — ერთი საწარმოსი.

5. საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ ააშენოს 1968 წელს და საექსპლუატაციოდ გადასცეს ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატში სპეციალიზებული საწარმო, რომელიც სატარე მუყაოსაგან დაამზადებს 60 ათასი ტონა სიმძლავრის ყუთებს.

6. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ გადასცეს საექსპლუატაციოდ 1970 წელს ნახმარი ხის კასრების სანიტარული დამუშავებისა და რემონტის სიმძლავრენი წელიწადში 100 ათასი ცენტნერის რაოდენობით.

7. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გამოუყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს რკინიგზის ლიანდაგების მიმდებარე მიწის ნაკვეთები ამ დადგენილებით გათვალისწინებული ტარის სარემონტო საწარმოების მშენებლობისათვის.

8. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს ტარის სარემონტო საწარმოების მშენებლობა, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს.

9. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს, რომ დროზე იქნას გამოყოფილი საავტომობილო ტრანსპორტი ტარის მისატანად სავაჭრო, სამრეწველო და სხვა საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ტარის სარემონტო საწარმოებში, აგრეთვე ტარის გასატანად რკინიგზის სადგურებში, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ მთლიანად უნდა დაკმაყოფილდეს საწარმოების მოთხოვნილება ტარის გადასაზიდად საჭირო საავტომობილო ტრანსპორტზე.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს 1968 წლის გეგმებსა და შემოსავალ-გასავლის ბალანსებში.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეისწავლონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ტარის სამმართველოს შექმნა სამეურნეო ანგარიშზე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროში.

№ 3 ეროვნული ბიბლიოთეკა

12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 აპრილის № 247 დადგენილება „სახალხო მეურნეობაში ტარის განმეორებით გამოყენების გაუმჯობესების ზომებისა და ეკონომიური სახეობის ტარის წარმოების გადიდების შესახებ“ დაეგზავნოს რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 12 ივნისი, № 314.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 247

1968 წლის 15 აპრილი

მოსკოვი, კრემლი

სახალხო მეურნეობაში ტარის განმეორებით გამოყენების გაუმჯობესების ზომებისა და ეკონომიური სახეობის ტარის წარმოების გადიდების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების საწარმოებში და მშენებლობებზე ტარის განმეორებითი გამოყენების ორგანიზაციის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. 1967 წელს საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის შესაფუთავი ტარის წარმოებაზე დახარჯულია 15 მილიონი კუბური მეტრი სამასალე მერქანი, ხოლო მათგან განმეორებით გამოყენებულია მხოლოდ 1,6 მილიონი კუბური მეტრი.

სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროების საწარმოებში ტარის წარმოება დაბალ ტექნიკურ დონეზეა.

ტარის დამამზადებელი სამინისტროები უმთავრესად უშვებენ ხის (ძვირადღირებულ და მეტისმეტად დიდ) ტარას, ხოლო ეკონომიური სახეობის ტარის წარმოება მუყაოსაგან, მერქანბოჭკოვანი, მერქანბურბუშელას, პოლიმერული სინთეზური და სხვა მასალებისაგან ნელი ტემპებით ვითარდება, რის გამო ჩვენს ქვეყანაში ტარის დამზადებაზე გაუმართლებლად იხარჯება დიდძალი მატერიალური და ფინანსური რესურსები.

სახალხო მეურნეობაში ტარის განმეორებით გამოყენების გაუმჯობესებისა და ეკონომიური სახეობის ტარის წარმოების გადიდების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. ტარის მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესება და მისი განმეორებით გამოყენება სახალხო მეურნეობაში

1. დაეკისროს სსრ კავშირის სახმომარაგებას:

იმის განსაზღვრა, თუ რამდენი სჭირდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას საგარეო (სატრანსპორტო) ტარა და მისთვის საჭირო სატარე მასალები;

ახალი და დასაბრუნებელი ტარის და სატარე მასალების განაწილების ბალანსებისა და გეგმების შემუშავება და დამტკიცება იმ ნომენკლატურის მიხედვით, რომელიც შეთანხმებული იქნება სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან;

საგარეო ტარის განმეორებით გამოყენების მოწყობა, აგრეთვე დასაბრუნებელი ხისა და მუყაოს ტარის რემონტი და გადამუშავება;

სახალხო მეურნეობის მომარაგება ახალი და დასაბრუნებელი ხის, ქაღალდის, მუყაოს და ლითონის საგარეო ტარით და მისი გასაღება;

კონტროლი ტარისა და სატარე მასალების მიწოდების გეგმების, სამინისტროებისა და უწყებების ტარის საწარმოების მშენებლობის და ტარის წარმოების გეგმების შესრულებისადმი, ახალი ეკონომიური სახეობის ტარის და სატარე მასალების ხარჯვის ნორმების დანერგვისადმი და ტარის სწორად გამოყენებისადმი დანიშნულებისამებრ საწარმოებში, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად;

კოორდინაცია სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა ტარის მეურნეობის დარგში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტანდარტების, ზომების და საზომი ხელსაწყოების კომიტეტთან ერთად ტარის სტანდარტიზაციის სამუშაოებისა, რომლებსაც ასრულებენ სსრ კავშირის სამინსიტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

ამასთან დაკავშირებით დაწესდეს, რომ:

ა) 1969 წლიდან დაწყებული, ხე-ტყის მასალები (დახერხილი მასალა, მრგვალი, ხე-ტყე, ფანერა და სხვა მასალები), ლითონები (შავი ლითონებისა და ალუმინის ნაგლინი, მოთუთიებული ფოლადი, თეთრი თუნუქი და სხვა მასალები), სატარე მუყაო, პოლიმერული სინთეზური და სხვა მასალები საგარეო ტარის წარმოებისათვის გამოეყოფა უშუალოდ სსრ კავშირის სახმომარაგებას.

აღნიშნული მასალების რაოდენობას განსაზღვრავს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი სსრ კავშირის სახმომარაგებასთან ერთად;

ბ) სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები დაამტკიცებენ ტარისა და სატარე მასალების წარმოების მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს, აგრეთვე ტარის საწარმოების მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას სსრ კავშირის სახმომარაგებასთან შეთანხმებით.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის სახმომარაგებას დაეკისრა დასაბრუნებელი ხისა და მუყაოს ტარის რემონტისა და გადამუშავების ორგანიზაცია, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მომარაგება ტარითა და სატარე მასალებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მოეწყოს სსრ კავშირის სახმომარაგებასთან ტარის განმეორებით გამოყენების, მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო („სოიუზგლავტარა“) სამეურნეო ანგარიშზე;

ბ) მიზანშეწონილად ჩაითვალოს გადაეცეს სსრ კავშირის სახმომარაგების გამგებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროების „ტყესაშენვაჭრობის“ სისტემის ტარის სარემონტო და ხე-ტყის სავაჭრო საწარმოები, ბაზები, საწყობები, რესპუბლიკური, საოლქო და სამხარეო კანტორები, აგრეთვე მოსკოვის საქალაქო აღმასკომის და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის ტარის სარემონტო ტრესტები და მათდამი დაქვემდებარებული მოქმედი და მშენებარე ტარის სარემონტო საწარმოები.

სსრ კავშირის სახმომარაგებამ და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების სია, რომლებიც უნდა გადაეცეს სსრ კავშირის სახმომარაგების გამგებლობაში.

შეუნარჩუნდეთ გადაცემულ ხე-ტყის სავაჭრო საწარმოებს, ბაზებსა და საწყობებს ხე-ტყის და სამშენებლო მასალების საცალო ვაჭრობა, აგრეთვე დროებით — სათბობის ვაჭრობა (მანამ, ვიდრე საქალაქო აღმასკომები მოაწყობდნენ ქალაქის მოსახლეობის მომარაგებას სათბობით საქალაქო სათბობ განყოფილებათა სისტემის მეშვეობით).

3. სსრ კავშირის სახმომარაგებასთან „სოიუზგლავტარის“ მოწყობასთან დაკავშირებით, გადიდდეს სსრ კაშირის სახმომარაგებასთან არსებული მთავარი სამმართველოების მუშაკთა რაოდენობა 150 ერთეულით, მათ შორის 64 ერთეული — რუსეთის სფსრ ვაჭრობის სამინისტროს „როსლესსტროიტორგის“ გაუქმებული რესპუბლიკური კანტორის საშტატო რაოდენობის ხარჯზე.

4. დაუწესდეთ სსრ კავშირის სახმომარაგებასთან არსებული „სოიუზგლავტარის“ მუშაკებს თანამდებობრივი განაკვეთები იმ განაკვეთების დონეზე, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახმომარაგებასთან არსებული „სოიუზგლავკომპლექტების“ მუშაკთა შესაბამისი კატეგორიებისათვის.

5. მოსკოვის საქალაქო აღმასკომმა გამოუყოს დამატებით სსრ კავშირის სახმომარაგებას „სოიუზგლავტარის“ მუშაკებისათვის 2 მსუბუქი ავტომანქანა.

ამასთან დაკავშირებით, გამოეყოს მოსკოვის საქალაქო აღმასკომს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რეზერვის ხარჯზე ორი მსუბუქი ავტომობილი „ვოლგა“, რომლის შენახვა იწარმოებს სსრ კავშირის სახმომარაგების სახსრების ხარჯზე.

6. სსრ კავშირის სახმომარაგებამ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შექმნან მოკავშირე რესპუბლიკების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოებში და რუსეთის სფსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ სამმართველოებში სათანადო სტრუქტურული ქვედანაყოფები დასაბრუნებელი ხისა და მუყაოს ტარის რემონტისა და გადამუშავების მოსაწყობად ადგილებზე, აგრეთვე ტარისა და სატარე მასალების მომარაგება-გასაღების ფუნქციების განსახორციელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი, რომ გაუდიდდეს 1968 წლისათვის სსრ კავშირის სახმომარაგებას ხელფასის ფონდი ამ დადგენილებით გათვალისწინებული სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნასთან დაკავშირებით.

8. გაუდიდდეს სსრ კავშირის სახმომარაგებას თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური წანამატების ფონდი 3,2 ათასი მანეთით თვეში იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაკებისათვის პერსონალური განაკვეთების დასანიშნავად, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად შეიქმნება.

9. დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოები და რუსეთის სფსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული სამმართველოები შეიმუშავებენ და დაამტკიცებენ ხისა და მუყაოს ტარის განმეორებით გამოყენების გეგმებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად მათი მოქმედების რაიონში მდებარე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

10. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ თავიანთ ქვესაუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მთელი ტარის სათანადო აღრიცხვა, მოვლა-შენახვა და განმეორებითი გამოყენება.

11. დაწესდეს, რომ ხისა და მუყაოს ტარას ჩააბარებენ და სსრ კავშირის სახმომარაგების ტარის სარემონტო საწარმოებში მიიტანენ:

ა) სახალხო მოხმარების საქონლის ტარას — სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, „ცენტროსოიუზის“, აგრეთვე სსრ კავშირის სხვა სამინისტროებისა და უწყებების სისტემის და მოკავშირე რესპუბლიკების (რომლებსაც მუშათა მომარაგების განყოფილებები აქვთ) საწარმოები და ორგანიზაციები, ამასთან დასაბრუნებელი ტარის სავაჭრო ორგანიზაციებისაგან მიტანის მოვალეობა რჩებათ ტარის სარემონტო საწარმოებს, რომლებიც ამჟამად ახორციელებენ ასეთ მიტანას;

ბ) საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის ტარას — სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოები და ორგანიზაციები.

სარემონტო საწარმოებში ტარის მიტანა წარმოებს ტარის ჩამბარებელთა ხარჯზე.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და მოსკოვის საქალაქო აღმასკომმა უზრუნველყონ საავტომობილო ტრანსპორტის დროზე გამოყოფა აღნიშნული ტარის მისატანად, აგრეთვე დასაბრუნებელი ტარის გასატანად რკინიგზის სადგურებში, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა მთლიანად დაკმაყოფილდეს საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილება ტარის გადასაზიდად საჭირო საავტომობილო ტრანსპორტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სატვირთო ავტომობილებისა და მისაბმელების განაწილების დროს გაითვალისწინოს მათი გამოყოფა აღნიშნული მიზნებისათვის.

12. ტარის მეურნეობაში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისა და განხორციელებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას იმ სამუშაოთა კოორდინაცია ამ დარგში, რომლებსაც ასრულებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, შეიქმნას სსრ კავშირის სახმომარაგებასთან ტარის მეურნეობის საუწყებათაშორისო საბჭო.

13. გადაეცეს ტარისა და საფუთავის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ექსპერიმენტულ-სამრეწველო ქარხნიანად სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს გამგებლობიდან სსრ კავშირის სახმომარგების გამგებლობაში.

აღნიშნული ინსტიტუტის გადაცემა მოხდეს 1968 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით, იმ წესის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 12 ოქტომბრის № 755 დადგენილებით.

რეორგანიზებულ იქნას ტარისა და საფუთავის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ტარისა და საფუთავის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტად.

დაეკისროს ტარისა და საფუთავის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტს:

ა) ტარის სტანდარტიზაციის, ტარის პროგრესულ სახეობათა და სატარე მასალების შემუშავების და ამ დარგში სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა კოორდინაციის მთავარი ინსტიტუტის ფუნქციები.

ბ) სამეცნიერო-საკვლევი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელება ტარის შესაქმნელად მერქნისა, მუყაოსა და ქაღალდისაგან, მათ შორის საცავი თვისებებითაც, მუყაოსა და ქაღალდის ტარის სახელმწიფო სტანდარტებისა და დახერხილი მასალის, მუყაოსა და ქაღალდის ტარის წარმოებისათვის ხარჯვის ნორმების შემუშავება სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით;

გ) სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების შესრულება (ინსტიტუტის თემატიკის მიხედვით) სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს დავალებით.

14. სსრ კავშირის სახმომარაგებამ უზრუნველყოს 1969—1972 წლებში ტარის სარემონტო ახალი სპეციალიზებული საწარმოების მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა და მოქმედი ასეთი საწარმოების რეკონსტრუქცია 150 ერთეულის რაოდენობით, № 1 დანართის თანახმად.

15. დაევალოს სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს შეიმუშაოს 1968 წელს ამ დადგენილებით გათვალისწინებული ტარის სარემონტო საწარმოების მშენებლობისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ისეთი საბა-ქროებით, რომლებიც ტექნოლოგიურ ტკეჩად გადაამუშავებენ განმეორებით ვამოსაყენებლად უვარგის დასაბრუნებელ ხის ტარას, აგრეთვე შეასრულოს აშენებლობის ადგილზე ტიპობრივი პროექტების მორგების სამუშაოები.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაუდიდოს 1968 წელს სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხელფასის ფონდი და სსრ კავშირის სახმომარაგებას — საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმა.

სსრ კავშირის სახმომარაგებამ 1968 წლის 30 მაისამდე მისცეს სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ტარის სარემონტო საწარმოების დაპროექტების დავალება.

16. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სამხარეო და საოლქო აღმასკომებმა უზრუნველყონ რკინიგზის ლიანდაგების მიმდებარე მიწის ნაკვეთების გამოყოფა მოკავშირე რესპუბლიკების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოებისა და რუსეთის სფსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიული სამმართველოებისათვის, ამ დადგენილებით გათვალისწინებული ტარის სარემონტო საწარმოების ასაშენებლად.

17. დაეკისროს სსრ კავშირის სახმომარაგების ტარის სარემონტო საწარმოების მშენებლობა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით, შესაბამისად სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, და სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, ხოლო ამ საწარმოებთან გარეგანი მისასვლელი სარკინიგზო ლიანდაგების მშენებლობა სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიტანოს აღნიშნული სამინისტროების საჯარო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებში სსრ კავშირის სახმომარაგების ტარის სარემონტო საწარმოების მშენებლობა, რაც ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, და გამოყოს სათანადო რესურსები ამ საწარმოების მშენებლობისათვის.

18. უფლება მიენიჭოს სსრ კავშირის სახმომარაგებას მოახდინოს 1969-1972 წლებში ქვესაუწყებო ტარის სარემონტო და ხე-ტყის სავაჭრო საწარმოების, ბაზებისა და საწყობების იმ დაგროვების 50 პროცენტის ცენტრალიზაცია, რაც მიღებული იქნება დასაბრუნებელი ტარის რემონტთან, გადამუშავებასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული ოპერაციებისაგან, და მოახმაროს ეს სახსრები ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დამტკიცებული გეგმების გადამეტებით ტარის სარემონტო და ხე-ტყის სავაჭრო ახალი საწარმოების მშენებლობას და მოქმედი ასეთი საწარმოების გაფართოებას, აგრეთვე ამ საწარმოების, ბაზებისა და საწყობების მუშაკთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

19. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა აძლიონ სსრ კავშირის სახმომარაგების ტარის სარემონტო და ხე-ტყის სავაჭრო საწარმოებს კრედიტი აღნიშნული საწარმოების ბაზებისა და საწყობების რეკონსტრუქციისათვის, აგრეთვე სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანიზაციებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კრედიტი ტარის სარემონტო და ხე-ტყის სავაჭრო ახალი საწარმოების მშენებლობისათვის იმ პირობით, რომ ამ საწარმოების მიერ გამოშვებული ტარა განკუთვნილი იქნება მთლიანად ან ნაწილობრივ სახალხო მოხმარების საქონლის შესაფუთავად, უკეთუ ამ ღონისძიებათა ხარჯები არ არის გათვალისწინებული კაპიტალურ დაბანდებათა გეგმით, ამასთან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტი გაიცემა სამ წლამდე ვადით; ხოლო სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის კრედიტი — სამიდან ექვს წლამდე ვადით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი მისცემს სსრ კავშირის სახმომარაგების საწარმოებს, ბაზებს, საწყობებსა და ორგანიზაციებს კრედიტს იმ წესითა და პირობებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 იანვრის № 75 დადგენილებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილების მე-8 და 9 პუნქტებით; სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი მისცემს კრედიტს ამ საწარმოებს, ბაზებს, საწყობებსა და ორგანიზაციებს იმ წესითა და პირობებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 თებერვლის № 82 დადგენილებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილების მე-8 და 9 პუნქტებით.

20. სსრ კავშირის სახმომარაგებამ შეიმუშაოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით და სამი თვის ვადაში დაამტკიცოს ინსტრუქცია ხისა და მუყაოს ტარის ჩაბარების, დაბრუნების და განმეორებით გამოყენების წესის შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს ამ ინსტრუქციაში პირობები, რომლებიც სტიმულს მისცემენ დასაბრუნებელი ტარის მოვლა-შენახვას და მისი განმეორებით გამოყენების გაუმჯობესებას, აგრეთვე ოპტიმალური (რაიონების მიხედვით დიფერენცირებული) მანძილი ტარის სარემონტო უახლოეს საწარმოებამდე, რომელთა ფარგლებში საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უნდა დააბრუნონ ხისა და მუყაოს ტარა.

21. დაწესდეს, რომ:

ა) ტარის სარემონტო საწარმოები და ორგანიზაციები გადაახდევინებენ ტარის ჩამბარებლებს ნახმარი ხისა და მუყაოს ტარის ჩაუბარებლობისათვის ჯარიმას ჩაუბარებელი ტარის ორმაგი ღირებულების რაოდენობით;

ბ) ტარის ჩამბარებლები, იმ შემთხვევაში, თუ ტარის სარემონტო საწარმოებმა უარი განაცხადეს ჩასაბარებელი ხისა და მუყაოს ტარის მიღებაზე, გადაახდევინებენ ამ საწარმოებს ჯარიმას მიუღებელი ტარის ორმაგი ღირებულების რაოდენობით;

გ) იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის ხისა და მუყაოს ტარა მომხმარებლებმა უშუალოდ უნდა დაუბრუნონ ამ პროდუქციის დამამზადებელ საწარმოებს, ტარის დაუბრუნებლობისათვის ან მის მიღებაზე უარის განცხადებისათვის გადახდება ჯარიმა დაუბრუნებელი ან მიუღებელი ტარის სამმაგი ღირებულების რაოდენობით.

აღნიშნული ჯარიმების გადახდევინება ხდება უდავო წესით, ახალი ტარის პრეისკურანტის ფასების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარიმის გადახდევინება არ ათავისუფლებს ტარის ჩამბარებლებს ტარის ჩაბარებისა და დაბრუნებისაგან, ხოლო ტარის სარემონტო საწარმოებსა და მიმწოდებლებს — მისი მიღებისაგან.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 17 სექტემბრის № 1967 დადგენილების მე-6 პუნქტი,

22. დაწესდეს, რომ ანგარიშებს ტარის მოძრაობის შესახებ წარადგენენ სამრეწველო საწარმოები, მშენებლობები და სავაჭრო ორგანიზაციები ქვემდებარების მიხედვით კვარტალურ და წლიურ ანგარიშებთან ერთად და მათ განიხილავენ ზემდგომი ორგანიზაციები ამ საწარმოების, მშენებლობების და სავაჭრო ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შეფასების დროს.

23. შემოღებულ იქნას სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე ტარის განმეორებით გამოყენებასთან უშუალოდ დაკავშირებული მუშაკებისათვის პრემიების მიცემა იმ თანხების ანარიცხების ხარჯზე, რომლებიც მიღებული იქნება ტარის ჩაბარების, დაბრუნებისა და თავისი პროდუქციის შესაფუთავად გამოყენების დროს.

პრემია გაიცემა მოქმედი დებულებებით გასაცემი პრემიების მიუხედავად და იმ პრემიების მაქსიმალური რაოდენობის გადამეტებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ სახალხო მეურნეობის დარგებისა და მრეწველობის მიხედვით.

სსრ კავშირის სახმომარაგებამ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება ტარის ჩაბარებისა, დაბრუნებისა და საწარმოთა და მშენებლობათა საფუთავი საჭიროების გამოყენებისათვის სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

II. ხის, მუყაოსა და ქაღალდის ტარის წარმოების დარგში

24. დაეკისროს სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს — დაამზადოს და დანერგოს სახალხო მეურნეობაში ტარის ეკონომიური სახეობანი და ტარის მასალები მერქნისაგან, მუყაოსაგან, ქაღალდისაგან, მერქანბურბუშელისა და მერქანბოჭკოვანი მასალებისაგან, აგრეთვე საყუთე კომპლექტების, მუყაოსა და ქაღალდის საგარეო ტარის დამამზადებელი საწარმოების (საამქროების) დაპროექტება და მშენებლობა.

25. სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სატარე მუყაოს ხარისხის გაუმჯობესებას და ერთი კვადრატული მეტრი აღნიშნული მუყაოს წონის აყვანას 1969 წლისათვის 180—250 გრამამდე და სისქისა 0,4—0,5 მმ-მდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. სსრ კავშირის სახმომარაგებამ და სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ:

ა) სამი თვის ვადაში მოამზადონ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგინონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებული წინადადებანი იმის შესახებ, რომ აშენდეს 1969—1972 წლებში მრავალსაბრუნავი და სხვა ეკონომიური ხისა და მუყაოს ტარის დამამზადებელი სპეციალიზებული საწარმოები;

ბ) შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1968 წელს სსრ კავშირის ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის სავალდებულო ნორმები რბილფოთლოვანი ჯიშების მერქნის, არყის ხის ჩათვლით, ხარჯვისა სატარე ხერხილი მასალებისა და ტარის წარმოებისათვის.

27. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 18 სექტემბრის № 789 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად:

ა) სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ და სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყონ 1090 ათასი ტონა სიმძლავრის ისეთი სპეციალიზებული საწარმოებისა და საამქროების მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა 1968—1970 წლებში, რომლებიც სატარე მუყაოს გადაამუშავებენ ყუთებად, № 2 დანართის თანახმად.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და აღნიშნულმა სამინისტროებმა გაითვალისწინონ გეგმებით ამ საწარმოებისა და საამქროების მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა;

ბ) სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ ააშენოს და საექსპლუატაციოდ გადასცეს 1969 და 1970 წლებში თითო საამქრო, რომლებიც დაამზადებენ ხორკლიან შუასადებებს კვერცხის შესაფუთავად წელიწადში 35—40 მილიონი ცალის სიმძლავრისა თვითეული;

გ) მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების სამინისტრომ და ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ დაამზადონ 1969—1970 წლებში სატარე მუყაოს ყუთებად გადამმუშავებელი საწარმოებისა და საამქროებისათვის 122 ერთეული მოწყობილობა, № 3 დანართის თანახმად.

28. მუყაოს ყუთების წარმოების არსებულ სიმძლავრეთა სრულად გამოყენებისათვის დაევალოთ ელექტრონული მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს უზრუნველყონ 1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლისათვის თავიანთ ქვესაუწყებო საწარმოებში გოფრირებული აგრეგატების და მათი მაკომპლექტებელი მოწყობილობის წარმოების აყვანა მათი საპასპორტო სიმძლავრემდე.

29. რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ გადასცენ საექსპლუატაციოდ 1970 წლისთავის ნახმარი ხის კასრების სანიტარული დამუშავებისა და რემონტის სიმძლავრენი წელიწადში 5,9 მილიონი ცენტნერის რაოდენობით, რაც განაწილდეს № 4 დანართის თანახმად.

III. ტარის წარმოება პოლიმერული სინთეზური მასალებისაგან

30. დაეკისროს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს პოლიმერული სინთეზური მასალებისაგან ტარის ახალ სახეობათა შემუშავება, წარმოება და სახალხო მეურნეობაში დანერგვა, საჭირო სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განხორციელება, აგრეთვე აღნიშნული მასალებისაგან ტარის დამამზადებელი საწარმოების (საამქროების) დაპროექტება.

31. სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ:

ა) მოაწყოს ტომრების წარმოება პოლიმერული სინთეზური მასალებისაგან იმ შაქრისა და სხვა კვების პროდუქციის შესაფუთავად, რომელიც საექსპორტოდ იგზავნება ტროპიკულ ქვეყნებში, 1968 წელს — 0,5 მილიონი ცალის, 1969 წელს — ერთი მილიონი ცალის და 1970 წელს — 1,5 მილიონი ცალის რაოდენობით;

ბ) შეიმუშაოს და განახორციელოს 1968 —1970 წლებში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საკასრე, საყუთე და სამომხმარებლო ტარის წარმოების მოწყობას პოლიმერული სინთეზური მასალებისაგან.

IV. ტარის წარმოება მინისა, ლითონისა და ქსოვილისაგან

32. დაეკისროს ტარის ეკონომიურ სახეობათა და სატარე მასალების შემუშავება, წარმოება და დანერგვა, მინისა, ლითონისა და ქსოვილისაგან, საჭირო სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა განხორციელება, აგრეთვე შესაბამისი პროფილის სატარე საწარმოების (საამქროების), დაპროექტება:

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს — მინისაგან დამზადებული ტარისა;

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს — სატომრე ფანჯრების) ტარისა;

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს — სამომხმარებლო ტარისა სათანადო პროდუქციის დასაფასოებლად;

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს — შავი ლითონებისაგან დამზადებული სატარე მასალებისა;

სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს — სატარე მასალებისა ფერადი ლითონებისაგან და კომბინირებული მასალებისა მათ საფუძველზე.

33. ნება დაერთოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს მოაწყოს სამინისტროსთან სამეურნეო ანგარიშზე ტარის წარმოების სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზპიშჩეტარა“ (მთავარ სამმართველოს უფლებებით) და სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს მოაწყოს სამინისტროსთან ტარის წარმოების სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზხიმტარა“ სამეურნეო ანგარიშზე (მთავარ სამმართველოს უფლებებით).

34. სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ შეასრულოს 1968—1969 წლებში საცდელ-სამრეწველო სამუშაოები საკონსერვო შუშის ტარის ისეთი საცავი სახურავების გამოწრთობისა და გამოცდისათვის. რომლებიც აძლიერებენ მის მექანიკურ სიმკვრივეს და თერმულ სიმტკიცეს.

V. ტარის წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობის დამზადება

35. დაეკისროს ახალი მოწყობილობის (და მისი სათადარიგო ნაწილების) შემუშავება და გამოშვება:

ჩარხმშენებლობის და ინსტრუმენტული მრეწველობის სამინისტროს — ტარის წარმოებისათვის მერქნისა და მერქანბურბუშელის მასალებისაგან, აგრეთვე განმეორებით გამოსაყენებელი ხის ტარის რემონტისა და გადამუშავებისათვის.

ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს — გოფრირებული მუყაოსა და მისგან ტარის დასამზადებლად;

მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების სამინისტროს — მუყაოსა და ქაღალდის ისეთი ტარის წარმოებისათვის, რომლებსაც ექნებათ ნაბეჭდი ტექსტები და ნახატები. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 და 1970 წლების გეგმების დაზუსტების დროს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი, რომ დამატებით გამოეყოს აღნიშნული წლებისათვის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების სამინისტროს კაპიტალური დაბანდებანი ამ მოწყობილობის დამამზადებელი სამი მანქანათმშენებელი ქარხნის ასაშენებლად.

36. ჩარხმშენებლობისა და ინსტრუმენტული მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყოს 1968—1971 წლებში 245 ერთეული მოწყობილობის საცდელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო ნიმუშების დამზადება და სერიული გამოშვება ხის ტარის წარმოებისათვის, № 5 დანართის თანახმად.

37. ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრომ შეიმუშაოს 1968 წელს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ტექნოლოგიურ ტკეჩად გადაამუშავებს განმეორებით გამოსაყენებლად უვარგის ხის ტარას, და მოაწყოს 1969 წლიდან ამ მოწყობილობის წარმოება ქვესაუწყებო საწარმოებში.

სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ გასცეს 1968 წლის II კვარტალში აღნიშნული მოწყობილობის დაპროექტების ტექნიკური დავალება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

47 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშათა და მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლოს წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან ბოროტმოქმედების ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტი:

„95. ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სისტემის ორგანიზაციები და საწარმოები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 20 ივნისი, № 328.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 1968 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VIII-1968 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ქაღალდი 13000, ნაბეჭდი თაბახი 3,25, სააღრიცხვო თაბახი 3,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 4000 შეკვეთა 820

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა